



ლიბეჩანი

№ 60 / 24 - 30 იანვარი / 2011

გვაშტერებს თუ არა GOOGLE? **გვ. 08**

რუსეთი: 18 დიდი სახლის ერთი მასპინძელი **გვ. 12**

რუსულ-აფხაზური მემოგრობის აუტანელი სიმსუბუქე **გვ. 14**

„ამ არავის ჰქვია საკუთარი სახელი“ **გვ. 25**

ინტელექტუალური საკუთრება **გვ. 28**

ინტერვიუ ნიკა ვაჩიშვილთან **გვ. 30**

BP, კრემლი და საქართველო **გვ. 32**

სკოლების დაფინანსების სისტემა **გვ. 34**

დაგვიფოკუსა დინამოსთან **გვ. 44**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008



**დავნიცების
მოხიბი დავნა**

გვ. 16-24



ბანა

ნომერი:

- 02 რედაქტორის სვეტი
- 04 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 06 მოკლედ
- 08 **ორი აზრი**
გვაშტერებს თუ არა Google?
ნესტან თათარაშვილი VS გიგა ზედანია
მეზობლები
- 12 18 დიდი სახლის ერთი მასპინძელი
კონფლიქტები
- 14 რუსულ-აფხაზური მეგობრობის აუტანელი სიმსუბუქე
მთავარი თემა
- 16 დევნილების მორიგი დევნა

- 22 **დევნილები**
იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლება – მთავარი საკითხები
ადამიანის უფლებები
- 25 „აქ არავის ჰქვია საკუთარი სახელი“
საზოგადოება
- 28 ინტელექტუალური = მატერიალური
- 30 **ინტერვიუ**
ფაქიზი ხელშეკრულება ნიკა ვაჩიშვილი
თვალსაზრისი
- 32 BP, კრემლი და საქართველო
მარკ მალენი
- 34 სკოლების დაფინანსების სისტემის ცვლილება
სიმონ ჯანაშია

- 36 მემარცხენეები, მემარჯვენეები თუ ზომიერები?
გიორგი ცხადაია
მედიაკრიტიკა
- 38 პლაკატები, ჰიმნები, მარშები...
თვალსაზრისი
- 40 თითქმის წმინდანი
დავით ბუხრიკიძე
- 42 ისევ ლოზუნგები
ლაშა ბუღაძე
სპორტი
- 43 ედინ დჟეკო და გოგენი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 44 დამშვიდობება
დინამოსთან

გარეკანზე:
დევნილების მორიგი დევნა
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი



ფურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ „ლიბერალი“ – საქართველოს მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლიბერალი“ საზოგადოება-საქართველოს პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



გულიკო ჩემი ოჯახის წევრია, ჩვენ გუკას ვეძახით. დედაჩემის დედაშვილია და ომამდე სოხუმში ცხოვრობდა. ოფელია ბებია საგაზაფხულო არდადეგებზე მატარებელში გვსვამდა მე და ჩემს ძმას და სოხუმში მიყვავდით, სტუმრად თავის დასთან, აფროდიტასთან. ეს მონატრებული ურთიერთობა ერთი კვირის თავზე დებს შორის როხროხით და ჩხუბით მთავრდებოდა, მაგრამ ჩვენ განცხრომაში ვიყავით.

სახლის მეორე სართული გულიკოს რეზიდენცია იყო და იქ ასვლა მხოლოდ მისი ნებართვით შეიძლებოდა. გუკას სამფლობელოში ყველა ნივთსა თუ ნახატს თავის ადგილი ჰქონდა და ხელი არაფრისათვის არ უნდა გვეხლო. ჩვენც აღარ ავდიოდით, რის გამოც ეს მეორე სართული ბოლომდე მისტიკად დარჩა.

აფრო ბებია აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ გულიკომ ჯერ თავისი ძმისშვილი გამოუშვა სოხუმიდან სამშვიდობოს, მერე თვითონ გადმოიარა სვანეთი და ჯერ ქუთაისში და მერე ჩვენთან ჩამოვიდა, სრულიად ცარიელ-ტარიელი.

ამის მერე დაიწყო მისი ბევრწლიანი მოგზაურობა – ჯერ კვიპროსში მუშაობდა, რესტორანში, რამდენიმე წელი და მერე მოსკოვში, ბავშვების გამზრდელად. მთელი ეს ხანი, სახლის ფულს აგროვებდა და ერთ მშვენიერ დღეს, გლდანში იყიდა კიდევ სამოთახიანი ბინა, თავისთვის და თავის ძმისშვილისათვის. მერე რამდენიმე წელი ამ სახლის რემონტისა და დათბობისათვის დასჭირდა.

იმდენად აღარ შეუძლია სხვაგან ყოფნა, რომ თუ ქვეყანა არ იქცევა, სხვასთან არასოდეს რჩება. თუ თბილისიდან სოფლად უნევს გასვლა, რამდენიმე კვირით ადრე ამზადებს ხოლმე თავს ამისათვის.

გუკასთვის საკუთარ სახლზე ძვირფასი არაფერია, ალბათ, ისევე, როგორც სხვა უამრავი დევნილისათვის, რომლებმაც დაკარგეს სახლი და სახლთან ერთად, სამშობლოც. ამ დღეებში, როცა დევნილებს იძულების წესით ასახლებდნენ სხვადასხვა „დროებით“ საცხოვრებელიდან, თვალწინ დამიდგა ომი, რომელიც არ მინახავს. ეს ადამიანები, რომლებიც მხოლოდ წინა დღით გააფრთხილეს, რომ გუდა-ნაბადი კიდევ ერთხელ უნდა აეკრათ, დილის 7 საათზე, პოლიციის კორდონებით და სატვირთო მანქანების დახმარებით გამოასახლეს, თითქოს ნახირი გადაყავდათ ერთი ადგილიდან – მეორეში.

დევნილების გასახლების პროცესზე ვრცლად „ლიბერალის“ ამავე ნომერში წაიკითხავთ, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები – რატომ უნდა მოექცე შენი ქვეყნის ომგამოვლილ ადამიანს ასე? თუ ერთი წამით მაინც წარმოიდგენთ თავს მათ ადგილას, სოლიდარობის განცდა თქვენთვის „ინტელექტუალური სამუშაო“ აღარ იქნება. ეს ადამიანები კი ისევ სიცარიელიდან – სიცარიელეში მიდიან და სახლთან ერთად, სამშობლოს ეძებენ.

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭყავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე
შპრნალისტები: მაია ნიკლაური, მარიკა ქონიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ლექსო ჩქარაული, სიმონ ჯანაშია, თამარ ამბუაშვილი, დინა ჩაჩუა, ალექსანდრ ბურიაკო, ოლეგ ალიონოვა, ნათია ახალაშვილი, რატი ახალაშვილი
რედაქციის ხელმძღვანელი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონაძე
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსკა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია.
ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბაჟი: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge ISSN 1987-7528



იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge


გივი შაღურის ალოგი ტაო-კლარჯეთი და კონკორდატის მათე მუსლი

საპატრიარქოს განცხადების მეორე აბზაცში ნამდვილად წერია ის, რასაც შავით თეთრზე კითხულობს თვით სტატიის ავტორი, რომ ერთი მხრივ ეკლესია ფლობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს ნაკვეთებითურთ, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აწარმოოს მოლაპარაკებები უცხო სახელმწიფოებთან იმ საეკლესიო ძეგლების შესახებ, რაც უცხო ქვეყნების ტერიტორიაზეა მოქცეული. რა არის აქ გაუგებარი? ნუთუ იმის შესხენებაა საჭირო, საქართველოს იურისდიქცია რა სივრცეზე ვრცელდება და ეკლესიაში ვინმე საპირისპიროდ ფიქრობს?

ნათია ახალაშვილის ალოგი როგორ გადავურჩეთ 1000-ლარიან ჯარიმას?

დღეს თბილისის ფორუმზე საინტერესო პოსტს წავაწყდი. ერთ-ერთი მომხმარებელი შეშფოთებული წერს, რომ თურმე უკვე 20 დღეა, რაც ფინანსთა სამინისტრომ სასაქონლო ზედნადების (არის ასეთი ფინანსური ქალაქი, საქონლის მიწოდების დამონების დოკუმენტია) ფორმა შეცვალა, ბიზნესების მფლობელებს კი არაფერი უთხრა.

მულტიმედია დევენილთა გამოსახლება



გამოსახლების მეორე დღე




ორხევიდან ბაკურციხეში



დევენილთა გამოსახლება
სტუდენტალის ტერიტორიიდან

ნიკო რობაქიძის ალოგი პერტიკალური გვამები

საოცარი წელია ეს 2011. კვირა არ გავა, რამე ისეთი არ მოხდეს, რაც მინიმუმ რამდენიმე დღე სერიოზულ ფიქრებში მიკრავს თავს. ბოლოს სამი დღის ფიქრები: როდის უნდა გამოხვიდე ქუჩაში? რა არის ის, რაც ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, იმდენად მიუღებელია, რომ თუნდაც სულ მარტო, თანამოაზრეების და მეგობრების გარეშე, დაუგეგმავად და სპონტანურად ქუჩაში გასვლას და პროტესტის გამოთქმას მაიძულებს?



მულტიმედია სად წავიდა მედიის აუდიტორია?

დევიდ ბრუერის ლექცია „ფორმულიანი ჯორჯიაში“.

ლია დაპირისპირება

ნინო ბექიშვილის ბლოგი



დაპირისპირება, რომელიც დღეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას შორის ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების გამო გაჩნდა, ახალი არ არის. ცნობილია, რომ სამი წლის წინ სწორედ საპატრიარქოს მოთხოვნით შეფერხდა თურქეთის სახელმწიფოსთან კულტურის სამინისტროს მოლაპარაკება ოთხი ქართული ტაძრის რესტავრაციის შესახებ.

როცა სახელმწიფომ გადაწყვიტა, არ გაეთვალისწინებინა ეკლესიის მოთხოვნები და მის გარეშე ემოქმედა, საპატრიარქო ღია დაპირისპირებაზე გადავიდა და კამათმა კულტურებიდან

საჯარო სივრცეში გადმოინაცვლა. „საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) თანახმად, ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მესაკუთრეა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრებისა, ხოლო სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, აწარმოოს მოლაპარაკება უცხოეთში არსებული ქართული ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ“ – წერია საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ 18 იანვრის განცხადებაში.

გამოდის, რომ საპატრიარქო თავს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების პატრონად მიიჩ-

ნევს. დაუფერებელია, მაგრამ საპატრიარქოში ფიქრობენ, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატი თურქეთის ტერიტორიაზეც ვრცელდება.

ასევე, თვალნათლივ გახდა ცხადი, რომ ეკლესია, რომელმაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე უზარმაზარი კაპიტალი დააგროვა (მატერიალურიც და ხალხის მხარდაჭერაც) პოზიციებს მართავდა არ დათმოვს – სახელმწიფოს და იუნესკოს (!) პირდაპირ კარნახობს, რა ალადგინოს, როგორ აწარმოოს მოლაპარაკებები და ა. შ.

ამასობაში, ქართული ტაძრები, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით – ინგრევა, რაც საპატრიარქოში როგორც ჩანს, დი-

დად არ ანალღვებთ. მთავარი მათთვის ისაა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მონასტრების აღდგენა მოახერხონ და ძალაუფლება კიდევ უფრო გაიფართოვონ. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დღეს ქრისტიანი მრევლი არ ცხოვრობს. მონასტერი თურქეთში მხოლოდ ერთ სტრუქტურას, საპატრიარქოს გააძლიერებს. უკვე საუკუნეებია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა პეტრიწონისა და სინას მთის მონასტრები ქართული უმნიშვნელოვანესი კულტურის კერები იყო.

თურქეთის მხარე სანაცვლოდ ოთხი მეჩეთის რესტავრაციას მოითხოვს. კლერიკალებისა და ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის აზრით კი, აღდგენილი მეჩეთები ქართულ იდენტობას შეუქმნის საფრთხეს. ისლამის საფრთხე ხომ მშვენიერი საბაბია მოსახლეობის ასაღელვებლად და დასაბნეველად.

საქართველოს ეკლესიაში ჰგონიათ, რომ ჩვენი კულტურის ძეგლები მხოლოდ მათი საკულტო ნაგებობებია. ბევრი ნაკლებად ცნობილი ტაძრის მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამის ყველაზე ნათელი დასტური მაინც ისაა, რაც ბაგრატის თავს ხდება. კულტურის ძეგლების ავთენტურობის შენარჩუნების ამბავი დიდად არც სახელმწიფოს ადარდებს – მაგალითი ისევ ბაგრატის ტაძარია, – აქ საპატრიარქო და სახელმწიფო უნისონში მოქმედებს. პრეზიდენტიც და პატრიარქიც ხშირად იმეორებენ, რომ „ბაგრატის ტაძარი უნდა აღდგეს“. როგორ, რის ფასად, ეს, როგორც ჩანს, დიდად არც ერთს არ ალღვლებს.

საპატრიარქო ცდილობს უხეშად ჩაერიოს არა მხოლოდ სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკაში, არამედ – სამეცნიერო სფეროშიც. ცნობილია, თუ როგორ მოითხოვდა საპატრიარქოდან მივლენილი ეპისკოპოსი ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართველი მეცნიერებისგან, უარი ეთქვათ ქართველური ენების შესახებ მთელ მსოფლიოში აღიარებულ თეორიაზე და მხარი და-

ეჭირათ საპატრიარქოსა და პატრიარქის მიერ ლობირებული თეორიისთვის იმის შესახებ, რომ სვანური და მეგრული ენები არ არის.

„სხვათა შორის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძისადმი მიძღვნილ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე მიტროპოლიტმა თავის გამოსვლაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ცოდნა და რწმენა მჭიდროდ უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს და მეცნიერება ზნეობრივი უნდა გახდეს. ნუთუ ზნეობრიობასა და სიახლოვეში ამგვარ ყურმოჭრილ სამეცნიერო მორჩილებას გულისხმობენ ეკლესიის მესვეურები? თუ არა, მაშინ რა არის ასეთი უხეში ჩარევა სამეცნიერო კამათში, სამეცნიერო არგუმენტაციის მიმართ სრულიად გაუმართლებელი უნდობლობა, საენათმეცნიერო საკითხებით მანიპულირება და ცეცხლთან თამაში ისეთი სათუთი და საფრთხილო კონცეპტებით, როგორიცაა ენის სტატუსი და ენის მიმართ ამ ენის მატარებლის დამოკიდებულება?“ – წერს ნინო დობორჯგინიძე წერილში „ორიოდ სიტყვა მეცნიერების მართვისა და განკარგვის საფრთხეზე“.

მაშინ „ლიბერალისთვის“ ვაპირებდი სტატიის დაწერას ამ თემაზე, მაგრამ რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილი ქართველმა ენათმეცნიერმა უარი მითხრა კომენტარზე. მიზეზი გასაგები უნდა იყოს – საპატრიარქოსთან დაპირისპირებას მოერიდნენ. ერთმა ისიც კი მითხრა – „თუ ფილოლოგიური განათლება გაქვთ, რად გინდათ ჩემი განმარტება, რა, არ იცით, მეგრული და სვანური ენები რომ არის?!“

ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, შეიძლება ვიღაცას წარმოუდგენელ მკრეხელობად მოეჩვენოს, ვიღაცას – ეროვნული ინტერესების ღალატად, მაგრამ მაინც დაწერ: 2002 წელს სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმება მრავალ უხერხულობას უქმნის ჩვენს სახელმწიფოს. ხელისუფლება ჯერჯერობით ცდილობს ღიად

არ დაუპირისპირდეს ეკლესიას და ამის საფასურად საერთაშორისო საზოგადოების (მაგალითად, აშშ დეპარტამენტის) საყვედურების მოთმენაც უწევს. თუკი ხელისუფლება ეკლესიის მიმართ ერთმნიშვნელოვნად მკაცრად არ იმოქმედებს და დათმობებზე წავა, მაგალითად, ისევ ჩაშლის თურქულ მხარესთან მოლაპარაკებას ან არ მოითხოვს კათოლიკეებისა და სომხებისთვის მათი ისტორიულად კუთვნილი საკულტო ნაგებობების გადაცემას, საპატრიარქო უფრო გააძლიერებს სახელმწიფოზე ზეწოლას და კიდევ უფრო მეტს მოითხოვს. რა შეიძლება იყოს ეს „უფრო მეტი“ ახლა ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ფანტაზიას გასაქანი აქვს და მადაც ჭამაში მოდის.

P.S. საქართველოს საპატრიარქოს, როგორც ძალაუფლების აქტორის, მოქმედება 1987 წლის 2 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის წმინდანად პომპეზური შერაცხვის შემდეგ დაიწყო. მაშინ მომძლავრებულ ეროვნულ მოძრაობას საქართველოს პატრიარქმა შემხვედრი ნაბიჯი შეაგება, რითაც პირდაპირ და ღიად განაცხადა, რომ ეკლესია მხოლოდ ერის სულიერ წინამძღვრობაზე არ აცხადებდა პრეტენზიას.

არადა, ლიბერალიზმის პირველი მქადაგებელი საქართველოში, ილია ჭავჭავაძე 1877 წელს წერდა: „არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალის საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის საწინააღმდეგო უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს“.

საქართველოს საპატრიარქოს დღევანდელი მოქმედება ამტკიცებს, რომ თუ შესაძლებლობა მიეცემა, ქართველი სწორედაც რომ ერჩის ადამიანის სინდისს და ამ დროს სულაც არ განიცდის რაიმე უხერხულობას.



ტახინი "ოჯაჯასია" ევროკავშირის ახალ ხელოვნებაში

ევროკავშირმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. ეს არის ევროპარლამენტის მიერ მიღებული პირველი დოკუმენტი, რომელშიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებით სიტყვა „ოკუპაცია“ ჩაინერა.

დოკუმენტი რუსეთს კიდევ ერთხელ შეახსენებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და აკრიტიკებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა შელახვას. რეზოლუციას დადებითად აფასებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის თქმით, რეზოლუცია მოულოდნელი და სასიხარულო იყო ქართული მხარისთვის, რადგან ევროპარლამენტი დიდი გავლენის მქონე ინსტიტუციაა: „ევროპარლამენტი, რომელიც არის ძალიან დიდი გავლენის მქონე ინსტიტუცია, საუბრობს რუსეთის ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე საუბრობს იმაზე, რომ ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსს მოიხსენიებს, როგორც ოკუპანტისას“.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ადამიანის

უფლებები ყოველდღიურად ირღვევა ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში“ და მოუწოდებს ევროკავშირს „აქტიური რეაგირება მოახდინოს შავი ზღვის რეგიონში მომხდარ ადამიანის უფლებათა თითოეულ დარღვევაზე“.

ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას ლიტვის ელჩიც მიესალმება. იონას პასლაუსკას ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენებას მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს და სხვა სახელმწიფოებსაც მოუწოდებს, აიღონ მაგალითი საქართველოსთან მიმართებით სწორი ტერმინოლოგიის დამკვიდრებაში. ლიტვის ელჩის განცხადებით, ტერმინ „ოკუპაციის“ გავრცელება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენას, ასევე ევროინტეგრაციის პროცესს შეუწყობს ხელს.

რეზოლუცია ასევე მოუწოდებს უსაფრთხოების პოლიტიკისა და საგარეო საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს კეტრინ ეშტონს „გააძლიეროს თავისი ზეწოლა რუსეთზე, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, საქართველოსთან კონფლიქტის მოგვარებისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით“.

ყვანაზ ბალანი საახსარო ბინიანი

საარსებო მინიმუმმა ბოლო 7 წლის მანძილზე ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. საქსტატის მონაცემებით საარსებო მინიმუმი 2009 წელთან შედარებით 18.6%-ით გაიზარდა და შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა დეკემბერში 149.6 ლარი შეადგინა. მაჩვენებლის ზრდა განსაკუთრებით 2010 წლის აგვისტოდან დაიწყო, რაც დიდწილად სასურსათო პროდუქტებზე ფასების მატებით იყო განპირობებული.

საქსტატის ინფორმაციით, საარსებო მინიმუმმა ოთხ-წევრიანი ოჯახისთვის 223.4 ლარი შეადგინა.

ახიზნები ფახეხითი ფაქიასიაში

24 იანვარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) პრეზიდენტს ირჩევს. ერთადერთი კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავაა. ის არჩევნებზე ფედერაციის 33 დელეგატიდან ოცმა წარადგინა. სიჭინავა ფედერაციის პრეზიდენტად 2009 წლის 1 ოქტომბერს აირჩიეს, 2009 წლის არჩევნებზეც ის ერთადერთი კანდიდატი იყო.

მანდატები ხაიძო სოციალისტების შიგნით



2011 წელს მანდატურები კერძო სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებშიც გამოჩნდებიან. ამ ინფორმაციას განათლების მინისტრიც ადასტურებს: „როცა მზად ვიქნებით, მანდატურები კერძო სკოლებშიც აუცილებლად შევლენ,“ - აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა.

უბრალო ბიზნესმენების საქმე

უბრალო ბიზნესმენების რონი ფუქსის და ზევ ფრენკელის სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება. დაკავებულებს ბრალად ფინანსთა მინისტრის მოადგილის ავთანდილ ხარაიძისთვის ქრთამის – 7 მილიონი დოლარის შეთავაზება ბრალდებათ. გამოძიების ინფორმაციით, ქრთამის სანაცვლოდ უბრალო ბიზნესმენები ქართულ მხარეს სთხოვდნენ, არ გაესაჩივრებინათ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ავალდებულებდა ფუქსის

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში, საპარლამენტო უმრავლესობის მდივანმა, გიორგი ხუროშვილმა განაცხადა, რომ მანდატურების ინსტიტუტი საჯარო სკოლებში იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მათი შეყვანა კერძო სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში 2011 წელსვე მოხერხდება. ამ ინიციატივის განხილვას პარლამენტში, ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებზე მსჯელობის დროს აპირებენ. საჯარო სკოლებში მანდატურები 2010 წლის აპრილში შევიდნენ. ამ დროისათვის, თბილისისა და საქართველოს დიდ ქალაქებში რვაასამდე მანდატური მუშაობს.

ბაილინიანი ვიზა ევროპაში

2011 წლის 1 მარტიდან ძალაში შედის ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ორი დოკუმენტი, რომლებიც სავიზო რეჟიმის გამარტივებასა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებას გულისხმობს. შეთანხმება ევროპარლამენტის შემდეგ 27 ქვეყნის წარმომადგენლობითმა ორგანომ – ევროკავშირის საბჭომაც – მოიწონა და დაამტკიცა.

და მისი პარტნიორების სასარგებლოდ 90 მილიონ 250 ათასი დოლარის გადახდას. სასამართლომ წინა პროცესებზე უარი თქვა პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის, ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდუაშვილის და იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანის მოწმის სახით დაკითხვაზე. სასამართლომ ასევე უარი თქვა ბიზნესმენების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე. საქმის სამართლიანად განხილვა ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა მიხეილ სააკაშვილს პირადად მოსთხოვა სატელეფონო საუბრისას.



ამ შეთანხმებით, ვიზა 10 დღეში უნდა გაიცეს, მისი ფასი, დღემდე დადგენილი 60 ევროს ნაცვლად, 35 ევრო იქნება. სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ მოლაპარაკება 2008 წლის ნოემბერში დაიწყო, შეთანხმებას კი ხელი 2010 წლის ივნისში მოეწერა.

ჩისხეობა	ჩისხეობა	ჩისხეობა	ჩისხეობა
14	5.7	8	2,2
დღიანი პატიმრობა მიესაჯა დევნილთა გამოსახლების ინციდენტთან დაკავშირებით ორ პირს.	მაგნიტუდის სიმძლავრის მინისქვრა მოხდა ვანის რაიონში.	ლართი გაძვირდება საკაბელო არხების ღირებულება.	მილიარდი დოლარით დაზარალა ტუნისი არეულობებმა.

სიტუაცია



„ჩვენ არ ვიღვნიტ ჰეგემონისტის და ექსპანსივის.“
ჩინეთის პრეზიდენტი ჰუ ჯინტაო აშშ-ში ვიზიტისას

„დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს წინასწარ განზრახული მკვლევარობა იყო. საპრეზიდენტო არჩევნებში ლეხ კაჩინსკის პოტენციური გამარჯვება, რუსეთთან ომში საქართველოსადმი მის მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა და მისი პოლიტიკა ევროკავშირთან მიმართებაში – ეს ის ფაქტებია, რომლებმაც რუსეთს მისი მკვლევარობის დაგეგმვისკენ უბიძგა.“
ლენ კაჩინსკის სიძე, მარკინ დუბენსკი, ავიაკატასტროფის შესაძლო მიზეზებზე

„ბირჟაზე მდგომი ხალხი მინას უნდა მივამაგროთ.“
პრეზიდენტი სააკაშვილი სოფელ ჯუგანში მოსახლეობასთან შეხვედრისას



მომხრე

ეკატერინე ბასილია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციების ლექტორი

მას შემდეგ, რაც ინტერნეტი მასობრივი მოხმარებისა და ინფორმაციის მიღების მედიუმად იქცა, ხოლო ონლაინ საძიებო სისტემები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება, საგრძნობლად გამარტივდა წიგნებიდან, სტატიებიდან და ფილმებიდან შინაარსის გაგების პროცესი. ამ ყველაფერმა კი ადამიანს ახალი ტიპის უნარ-ჩვევები განუვითარა.

მაგალითად, ე.წ. სქიმინგის (skimming – ზედაპირული გადათვალიერება) და სქენინგის (scanning – სწრაფად გადახედვა) მეთოდების გამოყენებით, უკვე შესაძლებელია, მოკლე დროში დიდი მოცულობის ინფორმაცია დავამუშაოთ, საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოვიყენოთ და მეტიც, მის ირგვლივ არგუმენტირებულად ვიმსჯელოთ კიდევ.


ინტერნეტის საშუალებით ჩვენ ასევე გამოვიმუშავებთ ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთების უნარსაც, როცა პარალელურ რეჟიმში შეგვიძლია, ვიკითხოთ, ვწეროთ, ვესაუბროთ მეგობარს, ვითამაშოთ, ვარედაქტიროთ და ვათვალიეროთ ფოტოები.

თუმცა, ჩემი აზრით, როცა ადამიანი დამოკიდებული ხდება ინტერნეტზე, ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი კითხვითი უნარების შესუსტებას და საბოლოოდ – დაქვეითებასაც.

კითხვის უნარი თანდაყოლილი არაა, მას გამოვიმუშავებთ, ასევე გამომუშავდება ყურადღების მობილიზაციის უნარიც, მაგრამ როდესაც ინტერნეტი ხდება უმთავრესი მედიუმი, რომელსაც მოვიხმართ, ეს გამომუშავებული უნარები თანდათან ქვეითდება – ყურადღებაც იფანტება და კონცენტრაციის უნარიც მცირდება.

ეს ყველაფერი ავტომატურად ხდება. ჩვენს მეხსიერებაში იღეპება ჰიპერლინკები, საკვანძო სიტყვები, სარეკლამო განცხადებები, მოკლე ფრაზები, სურათები, სწრაფ-სწრაფად ცვლის ერთმანეთს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების პროცესი, გადავდივართ ერთი გვერდიდან მეორეზე. და ეს პროცესი თავისთავად ახდენს გავლენას ჩვენს მიერ მოძიებული მასალის ათვისების ხარისხზეც.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე სამყაროში დღემდე აქტიუალურია კითხვა: რომელი უფრო ეფექტურია – ცოტა რაოდენობით და სიღრმისეული ინფორმაციის ფლობა, თუ დიდი რაოდენობით და ფაქტების ზედაპირული ფლობა?



ბევრს ხედავს თუ არა GOOGLE?

■ როცა ადამიანი დამოკიდებული ხდება ინტერნეტზე, ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი კითხვითი უნარების შესუსტებას და საბოლოოდ – დაქვეითებასაც. როდესაც ინტერნეტი ხდება უმთავრესი მედიუმი, რომელსაც მოვიხმართ, ეს გამომუშავებული უნარები თანდათან ქვეითდება – ყურადღებაც იფანტება და კონცენტრაციის უნარიც მცირდება.

■ Google არანორმალური ინფორმაციული დახუნძლოების მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაა და არა – მისი მიზეზი. როდესაც დაგროვილი ცოდნა იმდენად დიდია, რომ მისი ათვისება შეუძლებელი ხდება, Google იძლევა ამ ცოდნისათვის სწრაფი, თუმცა ხშირად ზედაპირული „თვალისშეველების“ საშუალებას.



მონინალმდევე

გიგა ზედანია

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

პლატონი ამბობდა, რომ დამწერლობის გამოგონებამ ხელი შეუშალა როგორც სიბრძნეს, ასევე – მეხსიერებას. სწორედ დამწერლობის გამოა, რომ ადამიანი, ერთი ჭეშმარიტების ცოდნის ხარჯზე, ბევრ ინფორმაციას იღებს, შემდეგ კი ამ ინფორმაციას შინაგან მეხსიერებას კი არ ანდობს, არამედ რაღაც გარეგანს – ნაწერ ტექსტსო, – ამტკიცებდა ის.

დღეს ზოგიერთი ამერიკელი ჟურნალისტი წერს, რომ ჩვენი დაშტერების გზა ინტერნეტზე გადის. აქამდე დიდ წიგნებს ვკითხულობდით და აზროვნების რთული პროცესების განხორციელება-დამახსოვრება შეგვეძლო, ახლა კი ცნობიერების ფრაგმენტაცია მოხდა და ერთი ვებსაიტიდან მეორეზე უსისტემოდ დავხტით. ცოდნა ჩვენს შიგნით კი არა, ჩვენს გარეთაა. Google-ის შემდეგ უფრო სულელები ვართ, ვიდრე მანამდე ვიყავით, – ასკვნიან ისინი.

როგორც ვხედავთ, Google-ის საინინალმდევეო არგუმენტი დაახლოებით 2400 წლისაა, თავად Google კი თორმეტი წლის წინ დაარსდა. ეს არგუმენტის სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს.

თუმცა პრობლემა მართლაც არსებობს, ოღონდ ის „ობიექტურია“ და არა – „სუბიექტური“: დაახლოებით ორასი წელია, რაც შეუძლებელი გახდა ადამიანური ცოდნის მთლიანობის ერთ თავში დატევა. 1800 წლისთვის ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო – გოეთემ, მაგალითად, იცოდა თითქმის ყველაფერი, რაც იმდროინდელ ევროპულ მეცნიერებას ჰქონდა აკუმულირებული. დღეს ფიზიკოსს ფიზიკის ყველა სფეროს ცოდნაც კი არ შეუძლია, არათუ სხვა მეცნიერებების სრულყოფილი შესწავლა. ცოდნის დიფერენციაციამ ცალკეული ადამიანის ათვისების უნარი უკან მოიტოვა.

ამიტომაც Google არანორმალური ინფორმაციული დახუნძლოების მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაა და არა – მისი მიზეზი. როდესაც დაგროვილი ცოდნა იმდენად დიდია, რომ მისი ათვისება შეუძლებელი ხდება, Google იძლევა ამ ცოდნისათვის სწრაფი, თუმცა ხშირად ზედაპირული „თვალისშეველების“ საშუალებას.

რა თქმა უნდა, ინტერნეტი არა მხოლოდ პასუხია ცოდნის დიფერენციაციის გამოწვევაზე, არამედ თავდაც ახდენს აქტიურ გავლენას ადამიანის ცნობიერებაზე. მაგრამ ვისაც ამ გავლენის შეჯამება „გასულელების“ სათაურის ქვეშ უნდა, ის არც ინტერნეტის გამოყენებამდე უნდა ყოფილიყო ძალიან ჭკვიანი.

რუსეთი

18 ილი სახლის ხითი მასპინძელი

რეზიდენციების რაოდენობის მიხედვით, რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოში მეორე ადგილზეა. იგი მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ირს ჩამორჩება.

თამარ კაკაბაძე

რუსულ ვებგვერდ RuLeaks -ზე, რომელიც „ვიკილიქსის“ პარტნიორია, რამდენიმე დღის წინ რუსეთის შავი ზღვისპირეთში, სოფელ პრასკოვეევკაში მდებარე უზარმაზარი სასახლის ფოტოები გამოქვეყნდა. სასახლე, რომლის მშენებლობაზე 1 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, რუსული პრესის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს ეკუთვნის. ფოტოები, სავარაუდოდ, სასახლის მოპირკეთებაზე მომუშავე ერთ-ერთმა ხელოსანმა გადაიღო.

ინფორმაცია ამ არქიტექტურული შედეგის შესახებ, რომელიც ქალაქ გელენჯიკიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს, პირველად გასულ წელს გავრცელდა. რუსმა ბიზნესმენმა სერგეი კოლესნიკოვმა პრეზიდენტ მედვედევის სახელზე ღია წერილი დაწერა, რომელშიც ამ სახლს ახსენებდა. რუსეთში სამედიცინო დანადგარების შემომტანი პოლდინგის – „პეტრომედის“ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტთან – კოლესნიკოვთან ინტერვიუ „ვამინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა. კოლესნიკოვი ამტკიცებს, რომ სწორედ „პეტრომედის“ საშუალებით ათეორებენ ფულს რუსი ოლიგარქები – აბრამოვიჩი და მორდაშოვი. მისი თქმით, „პეტრომედს“ თავად პუტინი მფარველობს და სწორედ იქ ჩარიცხული ფულით შენდება პუტინის ახალი სასახლეც.

„ეს უზარმაზარი, იტალიური პალაცოს სტილის სასახლეა... სამორინეთი, ზამთრის თეატრით, ზაფხულის ამფითეატრით, ეკლესიით, საცურაო აუზებით, სპორტული კომპლექსებით, ვერტმფრენების დასაჯდომი მოედნებით, ლანდშაფტური პარკებითა და პატარა, ჩაის სმისთვის განკუთვნილი სახლებით“, – აღწერს სასახლეს კოლესნიკოვი.

როგორც რუსული მედია ამბობს, ამ სასახლის ასაშენებლად ადგილობრივმა ხელისუფლებამ 74 ჰექტარი ნაკრძალიდან გამოყო. მილიარდობით რუბლი დაიხარჯა მთებზე ახალი გზების მშენებლობისთვის, ელექტროგადამცემი ხაზებისა და გაზის მილების გაყვანისთვის. სასახლე კომპანია „სპეცსტროი როსიიმ“ ააშენა, ინტერიერზე კი იტალიელმა დიზაინერმა ლანფრანკო ჩირელლომ იზრუნა. როგორც კოლესნიკოვი ამბობს, დიზაინის თითოეული დეტალი პირადად პუტინმა დაამტკიცა.

პრემიერის პრესსამსახური პუტინის კავშირს სასახლესთან კატეგორიულად უარყოფს.

თუმცა ფაქტია, რომ რუსეთის ხელისუფლებას ამ სასახლის ხსენება არ სიამოვნებს. გასული წლის ბოლოს ერთ-ერთი სასამართლო პროცესის დროს, იმისათვის, რომ დაემტკიცებინა პუტინისა და ბიზნესმენ გენადი ტიმჩენკოს ახლო მეგობრობა, რუსმა ოპოზიციონერმა ბორის ნემცოვმა მოსამართლეს წაუკითხა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ 2008 წლის 19 მაისს ტიმჩენკო საკუთარი თვითმფრინავით პუტინთან აღნიშნულ მშენებარე აგარაკზე ჩავიდა. როგორც ნემცოვის ბრიტანელი ადვოკატების მიერ მოპოვებული ამ დოკუმენტიდან ჩანს, ტიმჩენკოს თან ახლდნენ პუტინის სხვა მეგობრებიც, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი ალიანა კაბაევა. კაბაევას და პუტინის სასიყვარულო ურთიერთობებზე დიდი ხანია, წერს რუსული და უცხოური მედია. ამ სასამართლო პროცესიდან ცოტა ხანში, ნემცოვი ერთ-ერთ საპროტესტო აქციაში მონაწილეობისთვის დააკავეს. რუსი ჟურნალისტი იულია ლატინინა ამბობს, რომ ბორის



ნემცოვის 15-დღიანი უკანონო და გაუგებარი პატიმრობა აქციას არ უკავშირდება და იგი სწორედ ამ მილიარდიანი სასახლის ხსენების გამო დასაჯეს.

უკრაინული გაზეთი „გაზეთა პო-კიევსკი“ წერს, რომ რეზიდენციების რაოდენობით პუტინი მხოლოდ ჩრდილო კორეის ლიდერს ჩამორჩება. კიმ ჩენ ირი 20 უზარმაზარი რეზიდენციის მფლობელია, პუტინს კი ჯერ მხოლოდ 18 აქვს.

მათ შორისაა ოთხი ოფიციალური რეზიდენცია: სამუშაო რეზიდენცია კრემლის სენატის სასახლეში, სადღესასწაულო რეზიდენცია კრემლის დიდ სასახლეში, სარეზერვო კაბინეტი კრემლის ადმინისტრაციულ კორპუსში და მოსკოვიდან 30 კილომეტრში „ნოვო-ოგარეევი“-ს რეზიდენცია, სადაც უკვე ათ წელზე მეტია, პრეზიდენტი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ყოველ დღით პუტინის უზარმაზარი სამთავრობო კორტეჟი სწორედ ნოვო-ოგარეევიდან მიჰქის მოსკოვისკენ და ამ ტრასაზე მოძრაობას რამდენიმე წუთით აჩერებს, რაც ყოველდღიური საცობების მიზეზი ხდება.

გარდა ამ ოთხი რეზიდენციისა, პუტინის განკარგულებაშია, ასევე:

- 1. სახელმწიფო აგარაკი ბარჯიხაში, მოსკოვის ოლქი;
- 2. რეზიდენცია «Русь» ტვერის ოლქში;
- 3. საზღვაო რეზიდენცია „კონგრესების

სასახლე“ სტრელნიში, ლენინგრადის ოლქი;

- 4. საზაფხულო რეზიდენცია «Бочаров ручей» სოჭთან;
 - 5. სამთავრობო აგარაკი «Шуйская Чупа», კარელიაში, პეტროზავოდსკთან;
 - 6. რეზიდენცია «Ужин», ქალაქ ვალდაიდან 20 კილომეტრში;
 - 7. სანატორიუმი «Волжский утес» კუიბისევის ნყალსაცავის ნაპირას;
 - 8. ტურბაზა «Тантал» მდინარე ვოლგის ნაპირას, სარატოვიდან 40 კილომეტრში;
 - 9. რეზიდენცია «Сосны» მდინარე ენისეის ნაპირებზე, კრასნოიარსკთან;
 - 10. რეზიდენცია «Ангарские хутора» ირკუტსკიდან 47 კილომეტრში;
 - 11. სახელმწიფო აგარაკი «Малый исток» მალო-ისტოკსკის ტბასთან, ეკატერინბურგთან;
 - 12. რეზიდენცია საკურორტო ქალაქ პიონერსკისთან, კალინინგრადის ოლქი.
- ჩამოთვლილი რეზიდენციების გარდა პუტინის სახელს კიდევ ორ მშენებარე ობიექტს უკავშირებენ – სკანდალურად ცნობილ, მილიარდდოლარიანი სასახლეს შავი ზღვის პირას და ასევე მშენებარე რეზიდენციას ალტაიში.
- ალტაის რეზიდენცია სპეციალურად ჩინეთისა და ინდოეთის ლიდერებთან შეხვედრებისთვის შენდება. ამ რეგიონში ახალი ხიდებისა და გზების მშენებლობისთვის ფედერალური ბიუჯეტიდან 3 მილიარდი

რუბლი უკვე გამოიყო, 120 მილიონი კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა. ალტაის გაზეთი „ლისტოკის“ ჟურნალისტიკმა ბიუჯეტიდან ამ თანხების ხარჯვის გამო კრიტიკული სტატია დაწერეს. სტატიის გამოსვლისთანავე ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაზეთის გამოცემა შეაჩერა და მას სასამართლოში უჩივლა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „ლისტოკის“ სტატია პრემიერ-მინისტრის ღირსებას შეურაცხყოფდა და გაზეთს ბოდიშის მოხდა დააკისრა. ალტაის გუბერნატორმა საფინმა კი თავისი მხარის მოსახლეობას უჩივია „კი არ აპროტესტონ და ინუნუნონ, არამედ ჩუმად იტირონ სინარულისგან“, რომ პრემიერმა თავისი აგარაკის ასაშენებლად სწორედ „მათი მხარე აირჩია“.

გასული წლის ბოლოს, როდესაც პუტინი და მისი მეუღლე ლუდმილა მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში მონაწილეობდნენ, აღმწერლები ამ რეზიდენციებიდან ვერც ერთში ვერ მოხვდნენ. პრემიერის ოჯახის აღწერა, რომელსაც უამრავი ჟურნალისტი ესწრებოდა, ჩატარდა მოკრძალებულ, უსახურ ბინაში, რომელიც გვიანი „პერესტროიკის“ დროინდელ „ობკომის“ აგარაკს უფრო ჰგავდა – ძველმოდური სამუღიოთა და კინესკოპური ტელევიზორით. მაშინ რუსულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ბინის მეპატრონე პუტინის საყვარელი ძალი – კონია.

როდესაც პუტინი და მისი მეუღლე ლუდმილა მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში მონაწილეობდნენ, აღმწერლები ამ რეზიდენციებიდან ვერც ერთში ვერ მოხვდნენ.



აფხაზეთი

ჩხუპ-აფხაზეთი მეზობლობის ახალი სიმსახურე

თუ ვითარება არ განიმუხტება, სავსებით შესაძლებელია, სოხუმისა და მოსკოვის მაღალჩინოსნებს შორის დაპირისპირება რუსეთსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტში გადაიზარდოს.

ანტონ კრივენიუკი

რუსულ-აფხაზეთური ურთიერთობები ეტაპობრივად უარესდება, დაახლოებით ისე, როგორც ეს მოსკოვსა და მინსკს შორის ხდებოდა.

რუსეთის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების არამიზნობრივად ხარჯვის გამო ოპოზიციის მიერ ატეხილი ხმაურის შემდეგ აფხაზეთს რუსეთის ფედერაციის კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი ეწვია, თუმცა მისმა ვიზიტმა ქვეყნის მჩქეფარე პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსალოდნელი სიმშვიდე ვერ შეიტანა.

პირიქით, სტეპაშინის სტუმრობამ კიდევ ერთი კონფლიქტური სიტუაცია შექმნა – მოსკოვსა და სოხუმს შორის დებატები ახლა უკვე ოფიციალური პირების ღია კამათში გადაიზარდა. ამგვარი რამ პირველად მოხდა.

სტეპაშინის სოხუმში ვიზიტი აბსოლუტურად ახალი პოლიტიკური პროცესების კატალიზატორი გახდა. აფხაზეთის საზოგადოება მოსკოველი მაღალჩინოსნის ვიზიტს ელოდა: სტეპაშინს აფხაზეთური ოპოზიციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სოხუმის ხელისუფლების მიერ რუსეთის ფინანსური დახმარების ბოროტად გამოყენების შესახებ უნდა დაედასტურებინა ან უარეყო. აფხაზეთური ოპოზიციონერთა პროგნოზები გამართლდა: სტეპაშინმა აფხაზეთის ხელისუფლების მხარე დაიჭირა და განაცხადა, რომ ისინი „ეფექტურად და ეკონომიურად ამენებენ“.

მეტიც, სტეპაშინმა ოპოზიციისა და ადგილობრივი საბიუჯეტო სისტემის შესახებ საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთა: „ვისურვებდი, რომ უსა-



რუსეთის ფედერაციის კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი

ფუძვლო რაღაც-რაღაცების გამოქეპვის ნაცვლად ოპოზიცია კონკრეტულ, საქმიან რეკომენდაციებს იძლეოდა. ატეხეს დიდი ხმაური იმის გამო, რომ თურმე აფხაზეთი რაღაც საკუთრებას გადასცემს რუსეთს. ჩვენც კი ვკარგავთ ჩვენს საკუთრებას და რა ვქნათ ახლა, დავეტოლოთ?“, – ასეთი იყო რუსეთის ფედერაციის კონტროლის პალატის ხელმძღვანელის განცხადება სამი ყოფილი სახელმწიფო აგარაკის თაობაზე, რომლის რუსეთისათვის გადაცემასაც აფხაზეთის მთავრობა აპირებს.

ამ განცხადების შემდეგ ოპოზიციის

ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ გამოაქვეყნა სტატია, რომელმაც დიდი ხნის წინ გაცივებული რუსულ-აფხაზეთი ურთიერთობების თემა შიდააფხაზეთი დისკურსის სიბრტყიდან მოსკოვისა და სოხუმის პოლიტიკოსებს შორის ღია პოლემიკის დონეზე გამოიტანა.

ოპოზიციის ლიდერ რაულ ხაჯიმბას კონტროლის პალატის ხელმძღვანელის სერგეი სტეპაშინის განცხადების კომენტარებისას წამოცდა, რომ „რუსი ჩინოვნიკი ცხვირს სხვის საქმეში ჰყოფს.“

„ბატონი სტეპაშინი ოპოზიციის დამოკიდებულებას ამ საკითხებისადმი „პო-

ლიტიკანობას“ უწოდებს. ასეთ შემთხვევაში, რამდენად პოლიტიკურულად ბ-ნ სტეპაშინის ჩარევა ჩვენი ქვეყნის შიდა-პოლიტიკურ პროცესებში და აფხაზეთის ოპოზიციის მოქმედებების შეფასება?“ – ასე ამთავრებს თავის სტატიას („ინდულგენცია გაგრძელებაზე“) რაულ ხაჯიმბა.

ძნელი სათქმელია, სტეპაშინმა ასე რატომ შეტოპა. რუსეთის პირველი პირებიც კი – ვლადიმირ პუტინი და დმიტრი მედვედევი – აფხაზეთში ვიზიტისას აფხაზეთის შიდაპოლიტიკური ვითარე-

■ მოსკოვი და სოხუმი ერთმანეთთან ურთიერთობისას იმდენ შეცდომას უშვებს, რომ მალე რუსეთის პირველ პირებსაც გაუჭირდებათ იმის მტკიცება, რომ ორ ქვეყანას შორის კვლავაც უწინდელი დამოკიდებულებაა. შესაძლებელია, მაღალჩინოსნებს შორის დაპირისპირება რუსეთსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტში გადაიზარდოს.

ბის კომენტარებისგან ყოველთვის თავს იკავებდნენ. პუტინი სოხუმში ვიზიტის დროს თავადაც კი შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებს.

შეიძლება, სტეპაშინს უბრალოდ დაევიწყდა, რომ იგი „ნაღიკში ან მაიაკოვში არ იმყოფებოდა.“

ამასობაში, მოსკოვი და სოხუმი ერთმანეთთან ურთიერთობისას იმდენ შეცდომას უშვებს, რომ მალე რუსეთის პირველ პირებსაც გაუჭირდებათ იმის მტკიცება, რომ ორ ქვეყანას შორის კვლავაც უწინდელი დამოკიდებულებაა. დღევანდელი აფხაზეთი „ორიგინა-

ლური“ პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს. ეს არის სახელმწიფო, სადაც ერთმანეთს „აღმოსავლური“ და „დასავლური“ თვისებები ერწყმის: ბალაფში-სადმი მიძღვნილ დიტირამებს აქ მისი მისამართით საკმაოდ მკაცრი კრიტიკაც ახლავს თან.

სოხუმში ბევრი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბალაფში ზედმეტად დამთმობია რუსეთის მიმართ.

ნუთუ, აფხაზეთის პრეზიდენტი, მართლაც ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, როგორც ამას მისი მონინააღმდეგეები ვარაუდობენ, და „უფროსი და ძლიერი ძმის“ სასიკეთოდ იღებს გადაწყვეტილებებს? იქნება ეს რუსეთისათვის სახელმწიფო აგარაკების გადაცემა თუ სამხედრო შეთანხმებების რატიფიკაცია?

ოპოზიცია ერთხმად ამტკიცებს, რომ „ღიახ, ეს ასეა!“ დამოუკიდებელი გაზეთების მიმომხილველებიც, ზოგიერთი დეპუტატიც, ბლოგერებიც და კიდევ ბევრი ადამიანი აფხაზეთში ასე ფიქრობს.

თუმცა მათ ყველას ავიწყდებათ 1995 წელი. მაშინ, აფხაზეთის წინააღმდეგ გაგანია ბლოკადის დროს, სოხუმის ცენტრალურ მოედანზე მრავალი ათასი ადამიანი შეიკრიბა. მათ ხელი მოაწერეს კრემლში გასაგზავნ პეტიციას, რომელშიც აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მიღებას ითხოვდნენ.

ამ დღის შემდეგ 15 წელი გავიდა. აფხაზეთმა გრძელი გზა გაიარა – ჯერ ბლოკადაში მოქცეული საქართველოს ნაწილი იყო, დღეს კი რამდენიმე სახელმწიფოს მიერ უკვე აღიარებული დამოუკიდებელი ქვეყანაა.

იქნებ სწორედ ამიტომ ახრჩობდა ბოლმა სერგეი ბალაფს წინასაახალწლო შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე? იგი ხომ რუსული ფულით გზებს, საავადმყოფოებს და სკოლებს აშენებს, მისი, როგორც აფხაზეთის სახელმწიფოს მეთაურის რეიტინგი კი შეუბრალებლად ეცემა – აქტიურ სამოქალაქო სექტორში ხელისუფლების მხარდაჭერა უკვე ცუდ ტონად ითვლება.

დეკემბერში დაწყებულმა სკანდალმა, როცა ოპოზიციამ აფხაზეთის ხელისუ-

ფლება რუსული ფინანსური დახმარების არაეფექტურ გამოყენებაში დაადანაშაულა, მთელი 2011 წლის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკური ამინდი უკვე განსაზღვრა.

რუსული ფულის არაკეთილსინდისიერად ხარჯვაში დადანაშაულება მმართველი ნომენკლატურისათვის უკვალოდ არ ჩაივლის. მაგალითად, უკვე დიდი დარტყმა მიადგა ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ ანქევას პოზიციებს, ვინაიდან სამშენებლო პროექტების დიდ ნაწილს სწორედ იგი კურირებს.

ჯერჯერობით მოვლენებს მიღმა დარჩა სერგეი შამბა, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე იღებს რუსულ ფულს.

თუ ვითარება არ განიმუხტება, სავსებით შესაძლებელია, რომ სოხუმისა და მოსკოვის მაღალჩინოსნებს შორის დაპირისპირება რუსეთსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტში გადაიზარდოს.

ამასთან, სტეპაშინის წინააღმდეგ ხაჯიმბას გალაშქრებამ, შეიძლება, აფხაზეთის ოპოზიციას საბოლოოდ მიეკეროს „ანტირუსული“ იარლიყი, რასაც კრემლის მხრიდან მის მიმართ შესაბამისი დამოკიდებულება მოჰყვება. რუსეთი მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოიყენებს, რომ ერთგულ ბალაფს, რომელსაც კანონის თანახმად, მესამედ აღარ შეუძლია პრეზიდენტად დარჩეს, „ღირსეული“ შემცვლელი მოუძებნოს.

ამასობაში, თავად აფხაზეთში, სადაც მოსკოვის მხრიდან ბრძანებებს დაჩვეულნი არ არიან, ანტირუსული განწყობები ძლიერდება. აშკარაა, რომ აფხაზეთი და რუსეთი დღეს შორს არიან იმ იდეალური მეგობრობიდან, რომელიც მათ შორის 2008 წელს სუფევდა, როცა მოსკოვმა აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა აღიარა. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



დევნილების გასახლება ბაგებიდან, თბილისი, 20 იანვარი 2011

ფოტო: ნინო ლომიძე

დევნილების მოხიბი დევნა

დეკლარირებული გეგმიურობის მიუხედავად, დევნილთა გამოსახლების პროცესი მაინც მტკივნეულად და ქაოტურად მიმდინარეობს.

მაია ნიკლაური

მანქანის საბარგულში დედა და შვილები დაშლილი კარადის ფიცრებზე სხედან და ნონასწორობის შენარჩუნებას ცდილობენ. გარშემო სრული სიბნელეა. ახალ თავშესაფრამდე ისინი საკუთარ ავეჯთან ერთად მგზავრობენ.

ორი საათის შემდეგ მანქანა ჩერდება. საბარგულში მსხდომთ ესმით, როგორ იღება წინა კაბინის კარი. მძღოლი გადმოდის, საბარგულს ხსნის და ოჯახის წევრებს გადასვლაში ეხმარება.

გაზონების მიღმა სამსართულიანი, ახლად შეღებილი შენობა დგას.

კოდორიდან დევნილი სუბელიანები უკვე ხვდებიან, რომ ეს არის სახლი, რომელიც დღეიდან მათი მორიგი თავშესაფარი გახდება. ამის შესახებ მათ გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე შეიტყვეს.

შენობა კახეთში, სოფელ ბაკურციხის განაპირას დგას. ერთ დროს აქ დავით სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კოლეჯი იყო. თუმცა, ორი წლის წინ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ კოლეჯის ტერიტორიაზე მდგარი ორი სამსართულიანი შენობის გარემონტება დაიწყო. პარალელურად, კახეთის სოფლებში – ვეჯინსა და ახტალაში მცხოვრები დევნილები გააფრთხილეს, რომ მათ ბაკურციხეში გადასვლა მოუწევდათ.

2010 წლის სექტემბერში ვეჯინიდან და ახტალიდან აქ 33 ოჯახი გადმოიყვანეს. ორიოდე დღის წინ ბაკურციხეში ჩასულ სუბელიანებს ბარგის გადმოზიდვასა და დაბინავებაში სწორედ ისინი დაეხმარნენ.

დაბინავებამდე ნივთების ოთახში შეტანა და დაწყობა მოასწრეს. პირველი ღამის გასათევად საწოლებიც სახელდახელოდ გაშალეს.

„ოთახები მომწონს, ხუთი სული ვართ ოჯახში და სამოთახიანი ფართი გვეკუთვნოდა, ეს უფრო პატარაა, მაგრამ რას ვიზამთ?!“ – ასეთია ოჯახის დიასახლისის, მარინა აფრასიძის პირველი შთაბეჭდილება.

დილით სიცივე აღვიძებთ. ნათესავების ნაჩუქარი ელექტრო-გამათბობელი მთელი ღამე არ გამოურთავთ, მაგრამ საბინიდან ამონეული ხელი მაინც ეყინებათ. ცხელი წყალი არც ორხევეში ჰქონიათ, მაგრამ რადგან ახალგაგონებულ ბინას და უკეთეს პირობებს ჰპირდებოდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ ბაკურციხეში დილით ხელპირს თბილი წყლით დაიბანდნენ, თუმცა აბაზანაში წყლის გამათბობელი დამონტაჟებული არ არის.

მოგვიანებით მეზობლებისგან იქაური პირობების შესახებ უფრო მეტს იგებენ:

„სკოლა ახლოსაა, ბავშვებს სიარული არ გაუჭირდებათ“; „დენი სულ გვაქვს, მაგრამ გამათბობლის ჩართვას აზრი არ აქვს, კარგად არ ცხელდება და ოთახს მაინც არ ჰყოფნის“; „გაზი მოყვანილია, მაგრამ არ გვირთავენ, „სოკარში“ გვეუბნებიან, ვერ ჩაგირთავენ, გამწოვები არ გაქვთო, სამინისტრო კი არ გვიკეთებს“; „ონკანი თუ ერთ კვირაში გაგიფუჭდათ, არ გაგიკვირდეთ, ჩვენ ასე დაგვემართა“; „კარგია, რომ პირველ სართულზე ხართ – მეზობელს წყალი არ ჩაუვა, თორემ ზედა სართულზე, აბაზანაში წყალს ვერ ვუშვებთ, კაფელი არაა, გაყვანილობა დაზიანებულია და ჩადის“.

ბაკურციხეში ჩასახლებული დევნილებიდან თითქმის არავინ მუშაობს. ვეჯინსა და ახტალაში ისინი თავს მინათმოქმედებითა და ვაჭრობით ირჩენდნენ.

„ახლა კი სოფელში ვართ და კორპუსებში ვცხოვრობთ, მინა არ გვაქვს და არც სამსახური“, – ამბობს ნანა გუთინიშვილი.

„გვაცყვედრებენ, რომ ჩვენი ოთახების გარემონტება 30 ათასი ლარი დაუჯდათ. მერჩვენა, ეგ 30 ათასი, თუნდაც 10 ათასი, ჩემთვის მოეცათ და რომელიმე სოფელში უკეთეს სახლს ვიყიდდი დასამუშავებელი მინით, საქონელიც მეყოლებოდა და საფიქრალი არ მექნებოდა, საიდან ვიშოვო ყოველდღე საკვები“, – ამბობს შუახნის ქალბატონი აზა.

არც მარინა აფრასიძემ იცის, როგორ უნდა არჩინოს სამი შვილი და მოხუცებული დედა ბაკურციხეში. მისი სამსახური ყოველთვის არასტაბილური იყო, ბოლო დროს არც ორხევეში ცხოვრებისას მუშაობდა. მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაეცვალა, თავს ნათესავების დახმარებითა და დევნილის 22-ლარიანი პენსიით ირჩენდა. ოჯახის თითო წევრზე გამოყოფილ 22-ლარიან დახმარებას ახლაც მიიღებს, მაგრამ ეს თანხა მისი ხუთსულიანი ოჯახისთვის საკმარისი არ არის. თბილისიდან ასე შორს წამოსულ სუბელიანებს კი ისე ხშირად ვეღარც ნათესავები დაეხმარებიან.

მას შემდეგ, რაც 2008 წელს კოდორის ხეობაში დიდი სახლი და ხეხილით სავსე ეზო დატოვეს, სუბელიანებმა მისამართი სამჯერ გამოიცვალეს. ბავშვები თავიდან ურეკში, ნათესავთან აფარებდნენ თავს, მშობლებმა კი, დანარჩენ დევნილებთან ერთად, ლილოში მდებარე ცარიელი შენობა თვითნებურად დაიკავეს. წელიწადზე მეტია, სამინისტრომ მათ დროებით თავშესაფრად თბილისში, ორხევის დასახლებაში, საბაჟო დეპარტამენტის შენობა გამოყო. იქ, სუბელიანებთან ერთად, ცხინვალიდან დევნილი 18-მდე ოჯახი დასახლდა. თითოეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ფართს დაუკანონებდნენ და იქაურობა მათი სახლი გახდებოდა – დაბრუნება მდე.



83 წლის მარტოხელა აბელ მეტრეველი, სოფელი ბაკურციხე, 21 იანვარი 2011



კოდორიდან დევნილი სუბელიანების ხუთსულიანი ოჯახი, სოფელი ბაკურციხე, 21 იანვარი 2011

იმის შესახებ, რომ ჩაბარება და გადასახლება მეოთხედ მოუწევდათ, პირველად 10 დეკემბერს გაიგეს. სამინისტროს წარმომადგენელი საბაჟოს შენობაში შესახლებულ დევნილებთან მივიდა და გააფრთხილა, რომ 10 დღეში ოთახები უნდა დაეცალათ. დევნილთა აქციების შემდეგ, გასახლების თარიღი ორხევის მცხოვრებლებსაც ახალი წლის დღეების ჩავლამდე გადაუვადეს. საბოლოოდ, მხოლოდ წინაღობით გაიგეს, რომ მეორე დილას, ექვს საათზე სატივრო მანქანა მიაკითხავდათ.

„ამ დროს საავადმყოფოში ვიყავი ბავშვთან ერთად. ზურა ოთხი დღით ადრე მოინამლა და ვმკურნალობდით. დედამ დაძირეკა და მთხოვა, სასწრაფოდ დაბრუნდით სახლში, ხვალ დილას უკვე კახეთისკენ უნდა წავიდეთო. დედამ ვერ მითხრა, კონკრეტულად სად მივდიოდით – არ იცოდა. სამინისტროს წარმომადგენელმა ეს მხოლოდ დილით, წასვლამდე რამდენიმე საათით ადრე გვითხრა“, – იხსენებს მარინა აფრასიძე.

დილით, 7 საათზე, საბაჟო დეპარტამენტის შენობის ეზო პოლიციის რაზმმა შემოღობა. იქ შესვლა სატივრო მანქანების და თავად დევნილების გარდა არავის შეეძლო. ოჯახის დიასახლისები, შვილებთან და

მეუღლეებთან ერთად, კარადებს, მაგიდებს და სანოლებს წასალეზად შლიდნენ, ფუთებდა კრავდნენ ტანსაცმელს, ერთმანეთში აწყობდნენ ქვებებს, ზედმეტ ნივთებს ნაგავში ყრიდნენ, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს რამდენიმე წარმომადგენელი ოთახებში დარჩენილ ნივთებს აღრიცხავდა.

დილის 11 საათისთვის რამდენიმე სატივრო მანქანა უკან ცარიელი დაბრუნდა, ამჯერად უკვე სხვა ოჯახების ნივთების გასატანად. ნაშუადღევს საბაჟო დეპარტამენტის შენობაში უკვე აღარავინ იყო.

დაახლოებით 18 ოჯახიდან ბაკურციხეში მხოლოდ სუბელიანები წავიდნენ. მარინა აფრასიძის თქმით, დანარჩენებმა ნათესავებს შეაფარეს თავი, ან სხვა დასახლებებში გადაიყვანეს.

დევნილების გეგმიური გაყვანა დროებითი თავშესაფრებიდან 2008 წლის ომის შემდეგ შექმნილი სახელმწიფოს სტრატეგიის ნაწილი გახდა. გეგმაში წერია, რომ მუდმივი საცხოვრებელი უნდა გამოეყოს როგორც აფხაზეთიდან, ისე – აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირებს.

ამ პროცესს ოფიციალურ დოკუმენტში

„ადეკვატური გრძელვადიანი განსახლება“ ეწოდება და იქვე წერია, რომ ის, წესით, დევნილთა უკან დაბრუნებამდე მათ სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასაც უნდა ითვალისწინებდეს.

„განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დევნილთა მიერ ნებაყოფლობით და ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დევნილებთან დიალოგსა და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, გენდერულ თანასწორობას, ბავშვთა უფლებების დაცვასა და ადამიანის სხვა აღიარებულ უფლებათა დაცვას... სამოქმედო გეგმა განხორციელდება ობიექტური, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე და უზრუნველყოფს დევნილთა ჩართულობას დაგეგმვის პროცესში, მათი მხრიდან კარგად ინფორმირებული და გაზრებული არჩევნის გაკეთებას ყველა იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომლებიც მათ ეხებათ“, – წერია დოკუმენტში.

სამინისტროს გეგმის მიხედვით, დევნილები თბილისის 22 ობიექტიდან უნდა გაასახლონ. თუმცა, „ობიექტური, გამჭვირვალე კრიტერიუმების“ მიუხედავად, სამინისტრო არ გვანვდის ინფორმაციას იმის შესახებაც კი, თუ რამდენი ობიექტიდან

სულ რამდენი ოჯახი გაასახლეს დეკემბერ-იანვარში. გარდა ამისა, „გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“ დევნილები არ მონაწილეობდნენ. მათ არც „თავისუფალი არჩევნის“ უფლება ჰქონდათ.

უკვე 20 წელზე მეტია, დევნილების განსახლება საინფორმაციო ნაკადის მუდმივი ნაწილია. ნებისმიერი ეს შემთხვევა ძალიან მწვავე პროცესად იქცევა ხოლმე იმისგან დამოუკიდებლად, მიიღეს თუ არა დევნილებმა კომპენსაცია, დააკმაყოფილა თუ არა სახელმწიფომ მათი მოთხოვნები. საინფორმაციო არქივებში ინახება ცნობა იმის შესახებაც კი, თუ როგორ აიყვანეს მძევლად ზუგდიდში ჩასახლებულმა დევნილებმა ლტოლვილთა და განსახლების მაშინდელი მინისტრი ეთერ ასტემიროვა.

უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბოლო დრომდე იყო ის, რომ დევნილთა გასახლებას მუდმივად სპონტანური ხასიათი ჰქონდა. დიდ სასტუმროებში, სახელმწიფო ობიექტებში ზოგჯერ თვითნებურადაც შესახლებული დევნილები მას შემდეგ გადაჰყავდათ სხვაგან, რაც ის კონკრეტული ობიექტი გაიყიდებოდა. დევნილების ფართით დაკმაყოფილებას, ანდა მათ ფინანსურ ანაზღაურებას საკუთარ თავზე შენობის ახალი მესპატრონე იღებდა.

მიუხედავად ამისა, პროცესი თითოეულ შემთხვევაში მწვავედ მიდიოდა. ასეთი იყო თუნდაც თბილისში სასტუმრო „ივერიისა“ და ბათუმში სასტუმრო „მედვას“ დაცლა.

წლების განმავლობაში, საინფორმაციო გადაცემებში ეს პროცესი მხოლოდ ზედაპირულად შეუქებოდა. ერთადერთი, რაც დევნილების გასახლების შესახებ სიუჟეტებში ყველაზე მჭახედ და გასაგებად გაისმოდა – გასახლებულთა წივილ-კივილი იყო, რასაც თან დაახლოებით ამ პათოსის მქონე ინფორმაცია ახლდა: დევნილებს დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ მათ რაიონში წასვლა არ უნდათ, მათ დედაქალაქში ცხოვრება მოსწონთ.

სურათი, რომელსაც მედია ქმნის, დღემდე არ შეცვლილა – სატელევიზიო სიუჟეტებში ყველაზე ხშირად ახლაც ჩანან აქტიური ქალები, რომლებიც პროტესტის ფორმად სასონარკვეთილ კივილს იყენებენ. ახალი სტრატეგიის გათვალისწინებით, ჟურნალისტები დაჟინებით იმეორებენ, რომ გასახლება „გეგმიურია“ – ანუ, მასში საპანიკო არაფერია. საკითხის ასე ვიწრო და ცალმხრივი განხილვა კი საზოგადოებაში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას დევნილების მიმართ კიდევ უფრო ამყარებს:

■ მას შემდეგ, რაც 2008 წელს კოდორის ხეობაში დიდი სახლი და ხეხილით სავსე ეზო დატოვეს, სუბელიანებმა მისამართი სამჯერ გამოიცვალეს. ახლა მარინა აფრასიძემ არ იცის, როგორ უნდა არჩინოს სამი შვილი და მოხუცებული დედა ბაკურციხეში. ოჯახის თითო წევრზე გამოყოფილი 22-ლარიანი დახმარება ხუთსულიანი ოჯახისთვის საკმარისი არ არის. თბილისიდან შორს წამოსულ სუბელიანებს ისე ხშირად ვეღარც ნათესავები დაეხმარებიან.

უმთავრესი პრობლემა დღემდე ხელისუფლებისა და დევნილთა კომუნიკაციაა. ბოლო დროს მომხდარი გამოსახლებებისას სამინისტრომ არაფერი გააკეთა დევნილთა სრულყოფილი ინფორმირებისთვის. განსახლების პირველი ტალღის დროს, რომელიც აგვისტოში დაიწყო, მსგავსი ბრალდება ხელისუფლებას არასამთავრობო ორგანიზაციებმაც წაუყენეს. „დევნილები წინა დღეს, ან ორი დღით ადრე ზეპირად იგებდნენ, რომ სასწრაფოდ უნდა დაეცალათ ფართი. მათ არ ჰქონ-

დათ იმის საშუალება, რომ ნორმალურად და მშვიდად გაეტანათ საკუთარი ნივთები. დევნილებმა არ იცოდნენ, თუ სად გაასახლებდნენ, როდის დაერიცხებოდათ კომპენსაციები იმ დევნილებს, ვინც ფულად თანხას ელოდა და ასე შემდეგ. ეს ხელს უშლიდა დევნილებს, გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი“, – აცხადებდა იმ პერიოდში „ლიბერალთან“ საუბარში ომბუდსმენის წარმომადგენელი სოფო ბენაშვილი. გამომცემლობა „სამშობლოდან“ და სხვა სახელმწიფო შენობებიდან მამინ 400-მდე

დევნილის გამოსახლებას მძაფრი საპროტესტო გამოსვლები და სამინისტროსთან ორკვირიანი შიმშილობაც მოჰყვა. ოთხმა დევნილმა პირი ამოიკერა. 27 სექტემბერს კი, აფხაზეთიდან დევნილმა 46 წლის ნანა ფიფიამ სამინისტროს წინ თავის დაწვა სცადა და სამკვირიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა. მძაფრი პროტესტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის ფონზე სამინისტრომ გამოსახლების პროცესი დეკემბრამდე გადაავადა.

ნაწყობი სახანძრო დასველის ბანსახეობიან



ფოტო: ნოდარ მამიაშვილი

დაც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც სამუშაო ადგილები, ასევე წარმოდგენილი იქნება სკოლები, საბავშვო ბალები, სამედიცინო პუნქტები და სხვადასხვა სოციალური სერვისის ობიექტები.

2011 წლის იანვარში, სახალხო დამცველმა დამატებით განახორციელა დევნილთათვის ალტერნატივების სახით შეთავაზებული საცხოვრებლების მონიტორინგი. მონიტორინგი განხორციელდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ფოცხო-ენერში, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში, ზუგდიდში, აბაშის რაიონის სოფელ აბაშისპირსა და ხობის რაიონის სოფელ თორსადღვაბაში. სახეზეა შემდეგი სურათი:

– ყველა ობიექტზე, რომელიც დევნილებს შესთავაზეს, როგორც ალტერნატიული ფართი, განხორციელებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები;

– ობიექტები დაშორებულია ადმინისტრაციულ ცენტრებს და არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა (მაგ. ფოცხო-ენერში მცხოვრებ ოჯახებს მედიკამენტების შესაძენად დაბა ჯვარში უნევთ ჩასვლა, ვინაიდან ფოცხო-

ენერის ტერიტორიაზე აფთიაქი არ არის. სოფ. აბაშისპირში ბავშვებს ფეხით დაახლოებით 2 კილომეტრის გავლა უნევთ, ვინაიდან სოფელში არ არის სკოლა და არც ავტობუსი დადის, რომელიც ბავშვების სკოლაში გადაყვანას უზრუნველყოფდა. სოფ. თორსადღვაბასა და აბაშისპირში არის წყლის პრობლემა);

– ჯერჯერობით გაურკვეველია, გადაეცემათ თუ არა დევნილებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;

– გაურკვეველია, განხორციელდება თუ არა განსახლების ადგილებზე დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტები.

სახალხო დამცველი მიმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, გაატაროს ყველა სათანადო ღონისძიება დევნილთა ადეკვატური საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიზნით, პროცესი წარმართოს დევნილთა უფლებების დაცვისა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

21.01.2011

დღესაც სამინისტროსა და დევნილებს განსახლების შესახებ სხვადასხვა სიმართლე აქვთ: მინისტრი კობა სუბელიანი 21 იანვრის მთავრობის სხდომაზე აცხადებს, რომ ამ დროისთვის ასახლებენ მხოლოდ იმ დევნილებს, რომლებიც ფულადი კომპენსაციით დააკმაყოფილეს. ხოლო ვისაც კომპენსაციები აღებული არ აქვთ, მათ ფართებს შესთავაზებენ.

„ერთი განცხადება თავიდან ზუსტად ფულად კომპენსაციაზე მქონდა დაწერილი. ნამდვილად მერჩივნა, ჩემით შემერჩია სახლი და ის მეყიდა, მინასთან ერთად. მერე გავიგეთ, რომ ფული ჯერ არ იქნებოდა და სახლზეც დავწერეთ განცხადება“, – ამბობს ახლა მარინა აფრასიძე, რომელიც მხოლოდ მეორედ დაწერილი განცხადების გამო არ დარჩა ღია ცის ქვეშ.

კოდორიდან დევნილი ირაკლი არღვლიანი კი იხსენებს: „კომპენსაციის მოთხოვნით განცხადება ორი წლის წინ დავწერე. შემდეგ რამდენიმე თვეში ერთხელ გვხვდებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლები და გვეუბნებოდნენ, რომ კომპენსაცია იქნებოდა და უნდა დაგვეცადა. ასე დღეს ვაღ, დღეს-ხვალის ძახილით გავიდა დრო და ბოლოს, აგერ, ყველანი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გაგვასახლეს“.

სამინისტროს წარმომადგენლები იმასაც ამტკიცებენ, რომ დევნილებს წინასწარ აჩვენეს იმ შენობების ფოტოები, სადაც გასახლებას უპირებდნენ, წინასწარვე შეთანხმეს მათთან შენობის დაცლის ზუსტი თარიღი. ბევრი დევნილი და თვითმხილველი კი საპირისპიროს ჰყვება.

“დილის ექვს საათზე ხმაურმა გამაღვიძა. რამდენიმე წუთში, ბრახუნს წივილ-კივილი მოჰყვა. კარი გავაღე და დავინახე, როგორ იღებდნენ პოლიციელები დევნილების ნივთებს და სატვირთო მანქანაში აწყობდნენ, ბარგის პატრონები კი წინააღმდეგობას ყვირილით უწევდნენ, სად მიგყავთ-მეთქი, ვკითხე პოლიციელებს და არ მიპასუხეს“, – იხსენებს სტუდენტმა გასახლების დაწყებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნატალია.

32 წლის თეა სტურუა ერთ-ერთი იმ დევნილთაგანია, ვინც 20 იანვარს სტუდენტულად დაბრუნდა და გასახლდა. სტურუა დროებით საცხოვრებლად თბილისშივე,

ნათესავებთან გადავიდა. „ადრე გვითხრეს სამეგრელოში, სოფელ ფოცხოში გაგიშვებოთ, მაგრამ დღეს ეგეც აღარ შემოუთავაზებიათ, ასე გვითხრეს, უბრალოდ წადითო. არც ბინები უჩვენებიათ წინასწარ, ჩემს ირგვლივ არავინ იცოდა, სად უშვებდნენ“, – ამბობს გალიდან დევნილი სტურუა.

იმის გამო, რომ დევნილებს არც სათანადო ინფორმაცია აქვთ და სამინისტროსთან კომუნიკაცია უჭირთ, ყველაზე სანდო წყარო ამ ადამიანებისთვის ისევ ახლო-

დევნილები ახლად გარემონტებულ ცენტრებში ახალ ცხოვრებას იწყებენ, თუმცა ეს უფრო არსებობისთვის ბრძოლის მორიგ დასაწყისს ჰგავს, ვიდრე ახალ, კომფორტულ და პერსპექტიულ ეტაპს ომითა და გასახლებებით სავსე წარსულის შემდეგ.

ბლები არიან. თუნდაც მეზობლისგან ყურმოკრული ინფორმაცია მათთვის შეიძლება, გადამწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს:

„ჩემი მეზობელი უნდა წასულიყო ბაკურციხეში. უთხრეს, რომ ცუდი პირობები იყო და არ წავიდა. მე წინწყაროში მითხრეს, უნდა გადახვიდეო. ჩავედი ჩემი სახსრებით, ვნახე ადგილი და არ მომენონა. სახლი მორყეული იყო და არანაირი საცხოვრებელი პირობა არ არსებობდა. ეს სხვებსაც მოუყვებოდა და ყველამ არჩია, თბილისში ნაქირავებში დარჩენილიყო“, – ამბობს კოდორიდან დევნილი ჯულიეტა ცინდელიანი.

სახალხო დამცველის ოფისი ახლა იმ ინფორმაციის დადგენის პროცესშია, რომლის მიხედვითაც დევნილები ყოველგვარი ალტერნატიული თავშესაფრისა და

კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციის გარეშე გამოასახლეს. „მსგავსი ფაქტის არსებობა წარმოადგენს დევნილთა გამოსახლების ოპერაციული პროცედურის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას, რაც ცალსახად ხდება დევნილთა უფლებების შელახვის მიზეზი“, – წერია ომბუდსმენის 21 იანვრის განცხადებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ პირველი ტალღის დროს ჩამოაყალიბეს სამი ძირითადი პუნქტი, რომელთა გამოც საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებენ: 1. გამოსახლების პროცესი იყო დაჩქარებული და გაუმჭვირვალე, ამიტომ დევნილთა უმრავლესობა არაინფორმირებული დარჩა; 2. პირობები ახლად აშენებულ კოლექტიურ ცენტრებში არ შეესაბამება სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სავალდებულო სტანდარტებს; 3. მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გამოყოფა არ არის საკმარისი დევნილთა გრძელვადიანი დაბინავებისთვის – მათ ასევე ესაჭიროებათ დასაქმების პერსპექტივა.

ხელისუფლება ყველა საერთაშორისო ტრიბუნალზე, ერთ-ერთ მთავარ საკითხად დევნილთა „უპირობო და ღირსეულ“ დაბრუნებას ასახელებს. მანამდე კი მათზე ზრუნვისთვის ვრცელ და კომპლექსურ დოკუმენტს – სახელმწიფო სტრატეგიას მიჰყვება.

დევნილები ახლად გარემონტებულ ცენტრებში ახალ ცხოვრებას მართლაც იწყებენ, თუმცა, ეს უფრო არსებობისთვის ბრძოლის მორიგ დასაწყისს ჰგავს, ვიდრე ახალ, კომფორტულ და პერსპექტიულ ეტაპს ომით, გასახლებებით, ახლობლების დაღუპვითა და სამინელი სტრესით სავსე წარსულის შემდეგ.

კოდორიდან დევნილი ირაკლი არღვლიანი, რომელიც სამ შვილთან და მეუღლესთან ერთად ბავშვში ცხოვრობდა, 20 იანვარს წინწყაროში გადაასახლეს.

„რა უნდა გავაკეთო აქ, რით ვარჩინო ოჯახი, ჯერ არ ვიცი. თბილისში მშენებლობაზე ვმუშაობდი და იქ რა ვქნა, მართო ქვებია, ჩემთვის ვზიდავ ქვები?“ – კითხვას სვამს ირაკლი არღვლიანი. □

სტატიაზე მუშაობდნენ ეკა ჭითანავა, თაკო ფარადაშვილი.

ლენილია

იქნებით ბანადბიდანი პირთა ბამოსახლება - მთავარი სახითსები

გამოსახლების პროცესმა დაგვანახა, რომ აუცილებელია მთავრობის გადამწყვეტილებების შესახებ ხალხის მეტად ინფორმირება.



ქეთლინ რაინი და ლაშა გოგიძე,
„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსალოდნელმა გამოსახლებამ, რომელსაც საპროტესტო აქციები და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ ამ საკითხით მანიპულირება მოჰყვა, მედიის დიდი ყურადღება დაიმსახურა. საზოგადოება დევნილთა გამოსახლებებს აღიქვამს, როგორც უკიდურესად უსამართლოს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ამ საკითხის შესახებ ხელმისაწვდომი და ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა იმაზე, თუ რა ხდება რეალურად. არც მთავრობას უცდია ნათელი მოეფინა ამ საკითხისათვის. ამის შედეგად ხდება დევნილთა მოწყვლადი ფგუფის პრობლემების პოლიტიზირება, განზოგადება და არასწორად ინტერპრეტირება. ამჟამინდელი გამოსახლებები 2010 წლის აგვისტოში დაწყებული პროცესის ნაწილია, როდესაც 33 დროებით თავშესაფარში (და სამ კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მცხოვრები რამდენიმე ათასი ოჯახი უნდა გამო-

ესახლებინათ. საზოგადოების ფართო გამოხმაურების შემდეგ პროცესი დროებით შეჩერდა. საერთაშორისო თანამეგობრობამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად შეადგინა ის პროცედურები, რომელთა საშუალებითაც დევნილების გამოსახლების პროცესი მომავალში კანონიერად და სამართლიანად უნდა წარმართულიყო. პროცედურების განერისას ერთ დოკუმენტში მოუყარეს თავი ამ სფეროში არსებულ მთელ კანონმდებლობას, რითაც ხაზი გაესვა პროცესში ჩართული ყველა მხარის მოვალეობასა და უფლებას. თუმცა, ეს პროცედურები დევნილებს დამატებითი უფლებების გარანტიას არ აძლევს და მეტიც – გამოსახლების მუქარის ქვეშ მყოფთა უფლებებს არც ქართული კანონმდებლობა იცავს. პროცედურები არც იმგვარ საკითხებს ეხება, როგო-

რიცაა გამოსახლების შემდგომ ახალ საცხოვრებელ ადგილზე განათლების ან დასაქმების შესაძლებლობები. ამ საკითხებზე 2010 წლის სექტემბერში ყურადღება გაამახვილა უოლტერ კალინმა, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა დევნილთა უფლებების დაცვის საკითხში, როდესაც ის თბილისს პირველად სტუმრობდა. თბილისში, 21 დროებით თავშესაფარში მცხოვრები დევნილთა დაახლოებით 600 ოჯახი სწორედ ახალი პროცედურების გათვალისწინებით უნდა გამოასახლონ. ძალიან მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ დროებითი თავშესაფარი და კომპაქტურად განსახლების ობიექტი, თუმცა ეს ორი ტერმინი, ძირითადად, მაინც არამართებულად გამოიყენება. დროებითი თავშესაფრები აშენდა დევნილთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც გამოექცა აგვისტოს ომს მაშინ,

■ პროცედურები დევნილებს დამატებითი უფლებების გარანტიას არ აძლევს და მეტიც – გამოსახლების მუქარის ქვეშ მყოფთა უფლებებს არც ქართული კანონმდებლობა იცავს. პროცედურები არც იმგვარ საკითხებს ეხება, როგორცაა გამოსახლების შემდგომ ახალ საცხოვრებელ ადგილზე განათლების ან დასაქმების შესაძლებლობები.

როდესაც კომპაქტურად განსახლების ობიექტი ოფიციალურად დაარსდა 1996 წელს და გათვალისწინებული იყო 1990–იანების კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილებისათვის. დღესდღეობით მიმდინარე გამოსახლებები დროებით თავშესაფრებში არაღეგალურად მცხოვრებ დევნილებს ეხება. ამიტომ არ უნდა მოხდეს ამ პროცესისა და კომპაქტურად განსახლების ობიექტიდან გამოსახლების პროცესის ერთმანეთში არევა. ოქტომბერში ჩვენ მოვინახულეთ დევნილები, რომლებიც გამოასახლეს მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე დროებითი თავშესაფრიდან. ისინი არიან „პირველი

ტალის“ დევნილები, რომლებიც ამ შენობაში აგვისტოს ომის შემდგომ შესახლდნენ. 2008 წლამდე ისინი ნაქირავებ სახლებში, ან თბილისში, ნათესავებთან ცხოვრობდნენ და, მათი თქმით, ამავე მისამართებზე იყვნენ რეგისტრირებული. აგვისტოს გამოსახლების შემდეგ მათ ფოცხოენერში (დასავლეთ საქართველო) ალტერნატიული, გარემონტებული ფართები შესთავაზეს, თუმცა შემოთავაზებაზე უარი თქვეს და ახლა საცხოვრებელ ფართს თბილისში საკუთარი ხარჯებით ქირაობენ. ოჯახების გარკვეული ნაწილი ფოცხოენერში გადასახლებას დათანხმდა. მათთვის განკუთვნილი შენობა ენგუ-

რის კაშხალსა და ჰიდროელექტროსადგურზე მომუშავე მუშების ყოფილი თავშესაფარი იყო. 2010 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამ 3 შენობაში არსებული 382 ბინის გასარემონტებლად ევროკავშირის დაფინანსებით 5.2 მილიონი ლარი დახარჯა. ჩვენ ეს ადგილი არ მოგვინახულვია, თუმცა გადმოცემით, იგი იზოლირებული და მომორებულია ურბანული ცენტრებისა და სატრანსპორტო მარშრუტებისაგან, ასევე სკოლების, მაღაზიების, სასოფლო-სამეურნეო მიწების, ბაზრისა თუ დასაქმების საშუალებებისაგან. ბევრ დევნილს, რომელსაც გამოსახლება ელის, ზუსტად ამგვარ, „მიუ-



დევნილთა გამოსახლება ბაგეზიდან, თბილისი, 20 იანვარი, 2011

ლებელ“ ალტერნატიულ ფართს შეს-
თავაზებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ
„პირველი ტალღის“ დევნილებს, რომ-
ლებიც რეგისტრირებულნი არიან კერ-
ძო ბინებში, ეკუთვნით თავშესაფარი
„საცხოვრებლით უზრუნველყოფის
სტრატეგიის“ გათვალისწინებით, რომე-
ლიც ჯერ არ ამოქმედებულა. ამ გეგმის
მიხედვით ბევრი შეძლებს თბილისში
საცხოვრებლის მიღებას. ფოცხოენე-
რის შემოთავაზება კი მათთვისაა, ვინც
თავშესაფარის გარეშე დარჩა, ან ვისაც
თავშესაფარი თბილისში არ ეკუთვნის,
რადგან ისინი დედაქალაქის გარეთ
არიან რეგისტრირებულნი.

სახელმწიფო სტრატეგია საცხო-
ვრებელი ფართის გაცემისას პრიო-
რიტეტულ მდგომარეობაში აყენებს
კომპაქტურად განსახლების ობიექტ-
ში მცხოვრებ დევნილებს, რისთვისაც
რამდენიმე პრაგმატული მიზეზი არ-

რომ სამეგრელოში კერძო სექტორში
მოზინადრე დევნილების 25 პროცენტი
„ძალზე ცუდ“ პირობებში ცხოვრობს.

რადგან დევნილთა რეგისტრაციის
მონაცემები მოძველებული, არაზუსტი
და, შესაბამისად, არასანდოა, პირველი
ტალღის დევნილების საცხოვრებლით
უზრუნველყოფის დროს სამინისტრო
მხოლოდ ამ მონაცემებს არ დაეყრდნო
და ამის ნაცვლად გადანყვეტილებე-
ბი „ფაქტობრივი საცხოვრებელი ად-
გილის“ პრინციპის მიხედვით მიიღო.
თუმცა დევნილთა დროებითი თავშე-
საფრიდან გამოსახლების შემთხვევაში,
„ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი“
არ აძლევს დევნილს ამ ადგილზე ცხო-
ვრების უფლებას. როგორც ჩვენ ვი-
ცით, არ არსებობს რაიმე კანონი ან სა-
ხელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც
დაადგენდა სპეციალურ პროცედურებს
ამ პრინციპის გამოყენებისათვის. თუმ-

ბლით უზრუნველყო. ამ პროცესის
ზოგიერთ ასპექტს ხშირად კრიტიკულად
ვაფასებთ, თუმცა ასევე უნდა გავითვა-
ლისწინოთ აღნიშნული საკითხის მოცუ-
ლობა და სირთულე. სამწუხაროდ, ყვე-
ლაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ
მთავრობამ ვერ მოახერხა საზოგადოე-
ბისთვის ნათლად აეხსნა, თუ როგორ და
რატომ იღებს გადანყვეტილებებს გამო-
სახლებაზე, ფულად კომპენსაციასა და
პრიორიტეტებზე დევნილთა საცხოვრე-
ბლით უზრუნველყოფის შესახებ. ცოტას
თუ ესმის, რომ ამ პროცესში მთავარ
როლს ისეთი პრაგმატული შეხედულებე-
ბი ასრულებს, როგორიცაა ხარჯები და
მოცულობა, თუმცა ასეთი ხარჯ-ეფე-
ქტური მიდგომის მთავარი მიზანი ისაა,
რომ ყველაზე მონყველადი ოჯახები ხში-
რად ვერ იღებენ სარგებელს. საჭიროა
მთავრობის გადანყვეტილებების უფრო
ეფექტური კომუნიკაცია, რომელიც გრ-

■ მთავრობის მდგომარეობა ნამდვილად არაა შესაშური. ბევრი დევნილი, რომელთა

გამოსახლებაც ახლა მიმდინარეობს, თავის დროზე დროებით თავშესაფრებში უკანონოდ

შესახლდა. მათ მიაჩნიათ, რომ თითოეულ მათგანს ეკუთვნის ისეთი საცხოვრებელი,

რომელიც მათ მოთხოვნებს შეესაბამება.

სებობს: პირველ რიგში, კომპაქტურად
განსახლების ობიექტის გარემონტება
ბევრად ადვილი და იაფია, ვიდრე მთე-
ლი საქართველოს მასშტაბით კერძო
სექტორში მცხოვრები ათიათასობით
დევნილის ინდივიდუალური საცხოვრე-
ბლით უზრუნველყოფა. სამწუხაროდ,
თითქმის შეუძლებელია ზოგადი წარ-
მოდგენის შექმნა იმის შესახებ, დე-
ნილთა რომელ ჯგუფს აქვს უკეთესი
ან უარესი საცხოვრებელი პირობები.
მაგალითად, „დანის ლტოლვილთა სა-
ბჭოს“ მიერ 2008 წელს ჩატარებული
კვლევის თანახმად, კომპაქტურად გან-
სახლებულ ობიექტებში მცხოვრებ დე-
ნილებს, საცხოვრებლის მხრივ, უფრო
სერიოზული პრობლემები აქვთ, ვიდრე
მათ, ვინც კერძო სექტორში ცხოვრობს.
თუმცა იმავე ორგანიზაციის მიერ 2010
წელს ჩატარებულ კვლევაში ნათქვამია,

ცა დევნილებს მიაჩნიათ, რომ ეს უსა-
მართლოა. არ არის გასაკვირი, რომ
ისინი ამას აპროტესტებენ, ოპოზიციუ-
რი პარტიები კი მათი პროტესტით სარ-
გებლობენ და დევნილთა ინტერესების
დასაცავად გამოდიან.

მთავრობის მდგომარეობა ნამდვილად
არაა შესაშური. ბევრი დევნილი, რომელ-
თა გამოსახლებაც ახლა მიმდინარეობს,
თავის დროზე დროებით თავშესაფრებში
უკანონოდ შესახლდა. მათ მიაჩნიათ,
რომ თითოეულ მათგანს ეკუთვნის ისეთი
საცხოვრებელი, რომელიც მათ მოთხო-
ვნებს შეესაბამება. დევნილები ფიქრობენ,
რომ მათი საჭიროებები გადაუდებელი
და სასწრაფოდ დასაკმაყოფილებელია.
უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში
მთავრობამ დევნილთა საკმაოდ დიდი ნა-
წილი, როგორც ძველი, ისე ახალი დევი-
ლები, ხანგრძლივადიანი საცხოვრე-

ბლით უზრუნველყო. ამ პროცესის
ზოგიერთ ასპექტს ხშირად კრიტიკულად
ვაფასებთ, თუმცა ასევე უნდა გავითვა-
ლისწინოთ აღნიშნული საკითხის მოცუ-
ლობა და სირთულე. სამწუხაროდ, ყვე-
ლაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ
მთავრობამ ვერ მოახერხა საზოგადოე-
ბისთვის ნათლად აეხსნა, თუ როგორ და
რატომ იღებს გადანყვეტილებებს გამო-
სახლებაზე, ფულად კომპენსაციასა და
პრიორიტეტებზე დევნილთა საცხოვრე-
ბლით უზრუნველყოფის შესახებ. ცოტას
თუ ესმის, რომ ამ პროცესში მთავარ
როლს ისეთი პრაგმატული შეხედულებე-
ბი ასრულებს, როგორიცაა ხარჯები და
მოცულობა, თუმცა ასეთი ხარჯ-ეფე-
ქტური მიდგომის მთავარი მიზანი ისაა,
რომ ყველაზე მონყველადი ოჯახები ხში-
რად ვერ იღებენ სარგებელს. საჭიროა
მთავრობის გადანყვეტილებების უფრო
ეფექტური კომუნიკაცია, რომელიც გრ-

„საერთაშორისო გამჭვირვალობა
– საქართველო“ დევნილთათვის სა-
ცხოვრებლით უზრუნველყოფის მო-
ნიტორინგს 2008 წლის აგვისტოს ომის
შემდგომ ახორციელებს. „საერთაშო-
რისო გამჭვირვალობა – საქართველო“
არის ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
ლტოლვილთა და განსახლების სამი-
ნისტროს სამეთვალყურეო საბჭოს
წევრი. ამ საბჭოს შემადგენლობაში
შედიან შესაბამისი მთავრობის წარმო-
მადგენლები და დონორები, რომლებიც
ახორციელებენ დევნილთა პოლიტიკის
კოორდინაციას.

"აქ ახავის ჰქვია სახეთაში სახელი"

მეძავების უფლებები ყოველდღე ირღვევა. თუმცა ოფიციალური სტატისტიკის არარსებობა
მათ დაცვას შეუძლებელს ხდის.

ცირა გვასალია

მეძავი, გამოგონილი სახელით ნათია,
თამარ მეფის გამზირზე დააკავეს.

„იმ ბიჭმა აიყვანა, თორნიკე ჰქვია ...
პოლიციელია“, – ყვებოდა ალისა შონია
დაკავებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ.
ალისა შონია თამარ მეფის გამზირის
კუთხეში იმ დღეს მანდარინს ყიდდა
და დაინახა, თუ როგორ ეჯაჯგურებო-
და პოლიციელი თეთრ ბენეში ჩაცმულ
ქალბატონს, რომელიც თავის დაძვრე-
ნას ცდილობდა. მუხლებზე დაჩოქილი
ნათია წინააღმდეგობის განწევას ცდი-
ლობდა, პოლიციელი კი მას ძალით მია-
თრევდა.

„მოდი აქ, შე ბოზო, პუტანკა!“ – ის-
მის აუდიო-ჩანაწერში, რომელიც იქვე
შემთხვევით მყოფმა ჟურნალისტმა
თამარ ჩხეიძემ დიქტოფონზე ჩაიწერა.

რაიმე სტატისტიკა იმისა, თუ რა სიხ-
შირით და საბაბით აკავებენ პოლიციე-
ლები მეძავებს, არ არსებობს. თავად ამ
პროფესიის ქალბატონებთან საუბრისას
ირკვევა, რომ პოლიციელები ყველაზე
ხშირად სიტყვიერ და ზოგჯერ ფიზი-
კურ შეურაცხყოფას აყენებენ.

ნათია დაღურჯებულ მაჯას მიჩვე-
ნებს და სასამართლოს დადგენილებას
იღებს შავი ტყავის ჩანთიდან. შავგვრე-
მან, შეღებილთმიან შუახნის ქალბა-
ტონს ისევ ის თეთრი ქურქი აქვს მოსხ-
მული, დაკავების დღეს რომ ეცვა.

„თავიდან მეგობარს ველაპარაკებო-
დი“, – იხსენებს დაკავების დეტალებს
ნათია. „კუთხეში გამყიდველები სხედან
და მათ იციან, რომ მე არაფერ შუა-
ში არ ვიყავი. მოვიდა პოლიციელი და
მეუბნება, ადექიო. მეორედ გაფრთხი-
ლების შემდეგ, ჩანთას ხელი მოვკიდე
და ავდექი. ცოტა გავიწიე და ეგრევე
მომაფურთხა. ძაან მაგრად მკრა ხელი
და ეგრევე წავიქეცი. შემდეგ ფორთ-



კლიენტის მოლოდინში, თბილისი, იანვარი, 2011

ადამიანის უფლებები

ხიალ–ფორთხიალით კუთხეში სასადი-ლო რომაა, იქამდე მიმიყვანა.“

„ჩემი პრონიალის უფლება არავის არ აქვს“, – ისმის ჟურნალისტის აუდიოჩა-ნანერში ნათიას ხმა, რომელიც თვითმ-ხილველების ხმაში ირევა.

„ცოდვაა, დაანებე თავი!“

„საზიზღარი ეს, 400 ლარს კი არა 400 თეთრს არ მოგცემ, შენისთანებს არ ვა-ძლევ მე, ტუტუცი ეს !“ – ეს ნათიას ხმაა, პოლიციელს მიმართავს იმ მო-მენტში, როდესაც ის საშველად თავის კოლეგას, ვინმე ნიკუშას ურეკავს. – „გამო, აქ პრასტიტუტაა!“

„სულ მახოხიალა დაბლა, ხელები ისე მქონდა დაღურჯებული,“ – ნათია თეთრ ქურქს ოდნავ მაღლა იწევს.

საქართველოში პროსტიტუცია არა-ლეგალური საქმიანობაა. ამის გამო, მეძაეების უფლებების დაცვა კანონიერ ჩარჩოებში ვერ ექცევა.

პირველად პროსტიტუციის ლეგალი-ზების საკითხი საქართველოში 90–იანი წლების ბოლოს ადამიანის უფლებების დამცველმა ელენე თევდორაძემ წა-მოსწია.

იმ პერიოდში პარლამენტის ადამია-ნის უფლებათა დაცვის კომიტეტში ბევრი განცხადება შევიდა. ელენე თე-ვდორაძე მაშინ კომიტეტის თავმჯდო-მარე იყო. ის იხსენებს, რომ ერთ-ერთ ასეთ განცხადებას ხელს აწერდა 100–მდე მეძავი, რომლებიც მილიციელების ძალადობის გამო ჩიოდნენ.

„განცხადებაში მითითებული იყო იმ მილიციელების მანქანების ნომრები, რომლებიც ამ ქალებს ძალით შეა-თრევდნენ ხოლმე მანქანაში, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის – „ისარგებლებდნენ“, მერე სცემდნენ და ქუჩაში აგდებდნენ“, – იხსენებს განცხადების შინაარსს ელე-ნე თევდორაძე. – „ამის შემდეგ მათი წარმომადგენელიც კი მოვიდა ჩემთან შეხვედრაზე და როგორც კი მე ეს სა-ჯაროდ განვაცხადე, დანარჩენი ქალები შავ დღეში ჩავარდნენ – მათ მიმართ განსაკუთრებული ტერორი დაიწყო.“

„პოლიციელები ფიქრობენ, რომ თუ მეძავი სცემე, შეავინროვე, იძალადე მასზე ფიზიკურად თუ სექსუალურად, მერე რა მოხდა?!“ – ამბობს სოციოლო-

გი ლელა გაფრინდაშვილი.

გაფრინდაშვილი მეძაეებს ორ სო-ციალურ ჯგუფად ყოფს: ისინი, ვინც ქუჩაში დგანან და ელიტურები. მისივე თქმით, ქუჩის მეძაეები, ელიტურებ-თან შედარებით, ბევრად დაუცველები არიან.

„არ არის ლამაზი, როცა შეურაცხყო-ფას გაყენებენ, მე მარტო ხომ არა ვარ, ძაან უხეშად გვექცევიან პოლიციელე-ბი: ფიზიკურად ხშირად არ გვეხებიან, მაგრამ სიტყვა–პასუხიც საკმარისია“, – ამბობს ასმათი, რომელიც როგორც წესი ვაგზლის მეტროსთან მუშაობს და ნათიასაც იცნობს. „ისედაც შე-ვინროებულები ვართ გოგოები. გინება, ლანძღვა, „გადაადის“ ძახილი. სად უნდა წავიდეთ?“

ასმათი ამბობს, რომ ნათიას შემთხვე-ვა გამონაკლისი არ არის.

„ერთი კი არაა აყვანილი ჩვენი გოგო-ებிடან, ძაან ბევრნი არიან“.

ია, რომელიც ვაგზლის მეტროსთან მუშაობს, პოლიციამ ორჯერ დააკავა და მასაც, ნათიას მსგავსად, 400–ლა-რიანი ჯარიმა 2–ჯერ გამოუწერა.

„რისთვის უნდა ვუხადო? მე აქ ვინვა-ლო და პოლიციას მივუტანო ფული? ჩემი შვილების გულისთვის ვწვალობ, კი არ მეხალისება აქ დგომა“, – ამბობს ია. „მოდიან, გვლანძღავენ, გვაგინებენ, ხან ნიხლებს გვირტყამენ. ჩემი გაჭირ-ვება მყოფნის, აგერ ვდგავარ დღე და ღამე. ვინ არის პოლიცია?“

„მოდიან, ყვირიან, ბორკილებს დაგა-დებთ, „კაპეზეში“ წავიყვანთო“, – ყვება ნანა, რომელიც ვაგზალზე რუსთავი-დან დადის. „კაი, დამიჭირე, წამიყვანე პოლიციაში, მაგრამ ხომ უნდა მაჩვე-ნო ადვოკატი, რომ ვინმეს დახმარება ვთხოვო? გოგოები ვამბობთ ხშირად, წამოდით, სადმე გავასაჩივროთო“.

სახალხო დამცველთან მეძაეების რაიმე საჩივარი არ შესულა. შესაბამი-სად, მის არცერთ ანგარიშში სექსმუ-შაკეების უფლებების დარღვევის შესა-ხებ არაფერია აღნიშნული.

„მე ვერ გეტყვი, რომ ჩვენ გვექო-ნია შემთხვევა, როდესაც ამ ძირძვე-ლი პროფესიის ადამიანებს ჩვენთვის მოემართათ მათი უფლებადარღვევის

ფაქტების შესახებ“, – ამბობს საქარ-თველოს სახალხო დამცველი გიორ-გი ტულუში 2010 წლის თებერვალში ჩაწერილ ინტერვიუში. „შეიძლება, ეს ადამიანები ერიდებიან კიდევაც ცალკე ჩივილს, ესეც მესმის“.

სახალხო დამცველი სექსმუშაკების უფლების დარღვევის სტატისტიკის არარსებობას ერთ–ერთ დაბრკოლებად მიიჩნევს საკითხის შესწავლის პროცეს-ში.

„თქვენ გინახავთ ასეთი სტატის-ტიკა? მე – არა“, – ამბობს ტულუში. „ჩვენს ოფისს ამაზე ასე ვიწროდ არ უმუშავია. თუმცა, ვთვლი, რომ ეს პრო-ბლემა არსებობს და არის სერიოზული შესწავლის თემა.“

საქართველოში ბოლო კვლევა მეძა-ეების თემაზე 2005 წელს ჩატარდა სა-ქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულების მიერ, თუმცა არც ეს კვლევა ფოკუ-სირდება მათ უფლებებზე. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ადამიანის უფლებების დამცველთა უმრავლესობა საქართველოში პროსტიტუციის ლე-გალიზებას „ძნელად წარმოსადგენად“ მიიჩნევს – მიზეზად კი „ტრადიციულად რელიგიური“ საზოგადოება სახელდება.

„ამ საკითხის მიმართ დამოკიდებუ-ლება კატეგორიულად უარყოფითია – ჩვენ ტრადიციულად რელიგიური ქვეყანა ვართ“, – მოსაზრებას ეთანხმე-ბა ელენე თევდორაძეც. „როცა საზო-გადოება არ იღებს კანონს ლეგალიზა-ციასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ, რომ ხალხის არჩეული პარლამენტი ხალხის აზრს უნდა დაემორჩილოს“.

სექსინდუსტრია ყველაზე მეტად იმ ქვეყნებშია დაცული, სადაც ის ლეგა-ლიზებულია – გერმანიაში, ნიდერლან-დებში, დანიაში, ავსტრალიაში.

ამათგან ავსტრალიასა და ნიდერლან-დებს მსგავსი მოდელები აქვთ: ბორდე-ლების არსებობა ლეგალურია სპეცია-ლური ლიცენზიის სახით, ხოლო ქუჩის მეძავობა – არალეგალურია.

ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ სა-ზოგადოებისთვის საინტერესო ასეთი საკითხის გადანყვეტისას აუცილებელია სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარე-

ბა და ხალხის აზრის გათვალისწინება.

სოციოლოგი ლელა გაფრინდაშვილი თვლის, რომ პროსტიტუციის ლეგალი-ზება უფრო გამჭვირვალეს გახდის სე-ქსმუშაკებზე ძალადობის ფაქტებს.

ოქტომბრის დასაწყისში მეძაეებს ცი-რკთან დგომა პატრულმა აუკრძალა. თუმცა ამის გამო მათ საქმიანობა არ შეუწყვეტიათ: ამჯერად რამდენიმე მე-ტრის მოშორებით, ხიდის გადაღმა, გა-დაინაცვლეს.

ოქტომბრის ერთ ღამეს, დაახლოე-ბით ღამის 11 საათზე, ბანკის შენობას-თან შეკრებილ, „კლიენტებს“ მომლო-დინე, ათამდე ქალბატონს პატრულის მანქანა მოადგა.

პოლიციის თანამშრომელმა იქვე მდ-გარი ქალი ძალით ჩასვა პატრულის მანქანაში. ავტომობილის უკანა სა-ვარძელში ამ დროს კიდევ პოლიციის 4 თანამშრომელი იჯდა.

„სად მიჰყავთ?“

„ხელი უნდა მოაწერიონ ოქმზე და 400–ლარიანი გამოუწერონ,“ – განმარ-ტა მოკლეკაბიანმა ქალმა, რომელიც სოხუმიდან დევნილია.

პოსტკონფლიქტური მდგომარეობა და მომყოლი მძიმე სოციალური ფონი პროსტიტუციის არსებობის ერთ-ერთი პირობაა საქართველოში, როგორც ლელა გაფრინდაშვილი განმარტავს.

იას ორი შვილი ჰყავს. უმცროსი გო-გონა 2 თვისაა. მუშაობის პერიოდში, პატარა ძიძისთვის ჰყავს ჩაბარებული, მისი ვალი კი 320 ლარი მართებს.

„ვიხდი ნელ-ნელა, მოვდივარ და მო-ვტირივარ ჩემს ცხოვრებას. ისეთი კა-ნონი დააწესონ, ან ბარდელი ან რაღა-ცა გახსნან და იქ შეგვიშვან. გოგოებს გვირჩვენია, ფიქსირებულად გადავი-ხადოთ ყოველ თვე, ვიდრე არ ვიცით, როდის დაგვადგებიან თავზე და და-გვიჭერენ“.

ვაგზალთან და თამარ მეფის გამზირ-ზე მომუშავე სხვა სექსმუშაკებიც ლე-გალიზაციის მომხრენი არიან – მეტი უსაფრთხოებისა და თავშესაფრის მო-პოვების მიზეზით.

მანამდე ნათიას 400 ლარის გადახდა მოუწევს. დაჭერის დღეს მას სასამარ-თლომ ჯარიმა გამოუწერა.

ადამიანის უფლებები

დადგენილებაში მითითებული პირის სახელი და გვარი გ.ს. და ნათია ერთი და იგივე პირია. ყველა სექსმუშაკს, რომელიც ვაგზალზე მუშაობს, სახელი შეცვლილი აქვს: ქალები ერთმანეთს ზედმეტსახელებით მოიხსენიებენ. იდენტიფიკაციის დამალვის მიზნით, მაგალითად, მეძავი ნანა – 24 წლის გა-მხდარი და შავადშეღებილთმიანი ახალ-გაზრდა ქალი ორი შვილით – პლასტი-კური ოპერაციის გაკეთებასაც აპირებს იმ დროისთვის, როცა ქმარი ციხიდან გამოვა.

<div> ■ საქართველოში პროსტიტუცია არალეგალური საქმიანობაა. პირველად პროსტიტუციის ლეგალიზების საკითხი საქართველოში 90–იანი წლების ბოლოს ადამიანის უფლებების დამცველმა ელენე თევდორაძემ წამოსწია.</div>

ნათია ამბობს, რომ ნესრიგი არ დაურღვევია, თუმცა ოქმს ხელი, რო-გორც თვითონ ამბობს, მაინც მოაწერა: დაემუქრნენ, რომ თუ ხელს არ მოაწერ-და, ციხეში დაამწყვედვენ.

„აქ არავის ჰქვია საკუთარი სახელი“, – ამბობს ნათია.

ნათია ამბობს, რომ პოლიციის განყო-ფილებაში მას ისეთ ქალალდზე მოაწე-რინეს ხელი, რაც არც წააკითხეს.

მის მიმართ გამოწერილ ადმინის-ტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმ N071838–ში წერია:

„ქ. თბილისის თამარ მეფისა და თე-ვდორე მღვდლის კვეთაზე არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და პოლიციის თანამშრომელს გაუწია წინააღმდეგობა.

არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხო-ვნას დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი და დაწყნარებულიყო“.

ნათია ამბობს, რომ ნესრიგი არ დაურღვევია, თუმცა ოქმს ხელი, რო-გორც თვითონ ამბობს, მაინც მოაწერა: დაემუქრნენ, რომ თუ ხელს არ მოაწერ-და, ციხეში დაამწყვედვენ.

„ციხეში ცხოვრებაში არ ვარ ნამყოფი და იქ მოხვედრა ნამდვილად არ მინდო-და“, – ამბობს ნათია. „გამყიდველებმა იციან, რომ არაფერს ვაშავებდი. მარტო ვიდექი, ჩემთვის, იმისთვის, რომ ორი შვილი ავამდყოფი მყავს და უფლება არა აქვთ...“– ნათიას ხმა უწყდება.

შემდეგ პოლიციამ ნათია სასამარ-თლოში წაიყვანა. როგორც თვითონ ამბობს, პოლიციელმა მოსამართლეს განუმარტა, რომ ნათია ვილაცას ეჩხუ-ბებოდა. იგივე დაუდასტურა მოსამარ-თლეს თვითონაც.

„მაიძულეს, რომ ტყუილი მეთქვა. სასამართლოში რომ მივდიოდით, პო-ლიციელმა მითხრა, მოსამართლე რომ ადგება და გკითხავს, რასაც მე ვიტყვი, ის გაიმეორეო. სხვა არაფერი არ თქვა, თორემ ციხეში გაგიშვებო.“

სასამართლო დიდხანს არ გაგრძელე-ბულა. მოსამართლე გიორგი ტყავაძემ ნათიას, ნამდვილი სახელის ინიციალე-ბით გ.ს. – 400–ლარიანი ჯარიმა გა-მოუწერა.

საქართველოს კანონმდებლობით, პროსტიტუცია ადმინისტრაციულ სა-მართალდარღვევათა კოდექსის 172/3–ე მუხლით ისჯება, თუმცა ნათია არა პროსტიტუციის, არამედ საზოგადოე-ბრივი ნესრიგის დარღვევის და პოლი-ციისთვის დაუმორჩილებლობის გამო დააჯარიმეს.

„დამეხმარებით, რომ ეს 400 ლარი როგორმე არ გადავიხადო? გადახდის ვადა მენურება“... – ნათია საგანგე-ბოდ მოტანილ სასამართლოს დადგე-ნილებას მანვდის ასლის გადასალებად. ორიგინალი თვითონ უნდა დაიტოვოს – გადაუხდელობის შემთხვევაში, ჯარიმა გაუორმაგდება.

ინტერვიუს ჩაწერიდან რამდენიმე სა-ათის შემდეგ ნანა მოვლენების განვი-თარებით ინტერესდება:

„სად დაიბეჭდება ეს სტატია? ძაან მაინტერესებს. მინდა ვნახო. იქნებ ვინ-მემ ყურადღება მოგვაქციოს!“

საავტორო უფლებები

ინტელექტუალური = მატერიალური

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკა 2011 წლიდან გამკაცრდება.

ნინო ჩიმაკაძე

რესტორან N-ში ყოველ საღამოს ცოცხალ მუსიკას უკრავენ. მუსიკოსთა ხუთკაციანი ჯგუფი ძირითადად ფოლკლორს, ქლავირ სიმღერებს და საფორტეპიანო დუეტებს ასრულებს. შეკითხვა – იხდინ თუ არა ამ სიმღერების შესრულებისთვის ინტელექტუალური საკუთრების გადასახადს – უკვირთ. მუსიკოსები ამბობენ, რომ ყველაზე მეტ შეკვეთას რევაზ ლალიძის და გოგი ცაბაძის სიმღერებზე იღებენ. „ამ სიმღერების გარდაცვილი ავტორებს, აბა, როგორ უნდა გადაუხადოთ ფული?“ – გვპასუხობს რესტორნის ადმინისტრატორი.

რესტორან N-ის, ისევე როგორც მსგავსი დაწესებულებების უმრავლესობის მფლობელებმა ან არ იციან, ან არ ადარდებთ, რომ საავტორო კანონი მათ ყოველთვიური ჰონორარის გადახდას ავალდებულებს. ამ კანონის მიხედვით, ორგანიზაცია თუ ადამიანი, რომელიც ნებისმიერი სახის ხელოვნების ნაწარმოებს თუ პროდუქტს საჯარო დაწესებულებაში გამოიყენებს, ვალდებულია, ავტორს გარკვეული ჰონორარი გადაუხადოს. ეს წესი ავტორის სიცოცხლეში და გარდაცვალებიდან 70 წლის მანძილზე მოქმედებს, ამ შემთხვევაში ჰონორარი მის შთამომავლობას ერიცხება.

დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ ინტელექტუალური საკუთრება ისეთივე მნიშვნელოვანი და ღირებულია, როგორც მატერიალური, პოსტ საბჭოთა ქვეყნებში საავტორო უფლებებზე საუბარი მხოლოდ ბოლო ათწლეულში დაიწყო. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი საქართველოში 1999 წელს მიიღეს. თუმცა იშვიათი გამონაკლისების გარდა ბოლო პერიოდამდე ის მხოლოდ ფურცელზე დაწერილ ფორმალურად რჩებოდა. ინტელექტუალური საკუთრების ბევრმა მფლობელმაც კი არ იცის, რა წერია



ფოტო: ნინო ჩიმაკაძე

ჯგუფი „Lady Heroine“. კანონის თანახმად ამ მუსიკოსებს, მათი სიმღერების რადიოსა და ტელევიზიაში დატრიალების შემთხვევაში აუცილებლად უნდა გადაუხადონ საავტორო ჰონორარი. იმ შემთხვევაში კი, თუ ისინი რომელიმე კლუბში ან ბარში სხვა მუსიკოსების სიმღერებს შეასრულებენ, ამ დაწესებულების მფლობელები ვალდებულია იქნებიან, გარკვეული თანხა სიმღერის ავტორს გადაუხადონ.

არსებულ კანონში და რა უფლებები და ვალდებულებები აქვთ მათ.

2010 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. საბჭოში 7 წევრია და მას პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფის მიზანია, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობის შესახებ მსჯელობა გაააქტიუროს. საკოორდინაციო საბჭოს ამისთვის კანონის გადახედვა და მისი აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესების გზების ძიება მოუწევს.

კანონის აღსრულებაში გადამწყვეტი როლი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ავტორთა საზოგადოებას“ ეკისრება. უცხოეთის ავტორთა საზოგადოებების საერთაშორისო გამოცდილე-

ბაზე დაყრდნობით ის ყოველი „შემოქმედებითი პროდუქტის“ ამა თუ იმ სახით გამოყენებისთვის კონკრეტულ ტარიფს განსაზღვრავს.

„ავტორთა საზოგადოება“ კოლექტიური მართვის ორგანიზაციაა, სადაც 2000-ზე მეტი ქართველი ავტორია რეგისტრირებული. ორგანიზაცია მსოფლიო ავტორთა საზოგადოებების კონფედერაციის წევრია, რომელიც მთლიანობაში 100-ზე მეტი ქვეყნიდან 2 მილიონზე მეტ ავტორს და მემკვიდრეს აერთიანებს. „ავტორთა საზოგადოება“ საქართველოში 1999 წლიდან არსებობს, თუმცა ბოლო პერიოდამდე საკუთარი უფლებების დაცვისთვის მას იშვიათად მიმართავდნენ. საზოგადოების თავმჯდომარე ელგუჯა შაფათავა ამის მხოლოდ ობიექტურ მიზეზს ხედავს: „თვითონ ავტორები არ იყვნენ გარკვეული, რომ საკუთარი უფლებები დაეცვათ,

რადგან არ არსებობდა ამის კულტურა, გადამხდებლეს კი საჭიროდ არ მიაჩნდათ ნებართვის მიღება“.

იმ შემთხვევაში, თუ „ავტორთა საზოგადოება“ კონკრეტულ მოსარგებელსთან ვერ მორიგდება, საკითხი სასამართლომდე შეიძლება მივიდეს. ამჟამად სასამართლოებში საავტორო უფლებების დაცვის ათეულობით საქმე იხილება. თუ მხარეები ჰონორარის ოდენობაზე ვერ შეთანხმდებიან, საქმეში ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი — „საქპატენტც“ ჩაერთვება.

„საქპატენტის“ მოვალეობაა, საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმები შეიმუშავოს და დაინტერესებულ პირებს კონსულტაცია გაუწიოს.

„უკვე შევქმენით ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერს შეუძლია დარეკოს. ჩვენ უფასო კონსულტაციებს გაუწევთ მათ – და-

ლაფერი, რაც არ არის დაცული, ქმნის უკუმოტივაციას. მუსიკოსისთვის მისი სიმღერა, რეჟისორისთვის მისი ფილმი, დრამატურგისთვის მისი პიესა, არის შემოსავლის წყარო.თუ ავტორი ამ პროფესიით ვერ იარსებებს, ის შეიცვლის პროფესიას“, – ამბობს რურუა კანონის გამკაცრების აუცილებლობაზე საუბრისას.

რესტორნებში არა, მაგრამ რადიოსა და ტელევიზიაში ხშირად ტრიალებს ჯგუფ „სოფთ ეჯექტის“ და ვახო ბაბუნაშვილის სიმღერები. მუსიკოსი ამბობს, რომ მისი უფლებები იმდენად უხეშად ირღვევა, რომ ინიციატივას საავტორო უფლებების კანონის გამკაცრების შესახებ მხოლოდ მიესალმება.

„ხელოვანი ხალხი, ვისაც საავტორო უფლებების ბედი აწუხებს, ვისაც საკუთარი პროფესიის პრობლემები აწუხებს,

იმისთვის, რომ ჯარიმა (500-დან 5 ათას ლარამდე) არ დაეკისროთ, ნებისმიერ რადიოს და ტელევიზიას მოუწევს, ჩამწერი სტუდიას საკუთრების გამოყენების საფასური ან პირადად გადაუხადოს მუსიკოსებს, სიმღერის ტექსტისა და ფილმების ავტორებს, ან ავტორთა საზოგადოების საშუალებით დაიცვას მათი უფლებები.

საავტორო უფლებები მედია პროდუქციაზეც ვრცელდება: ფოტოების, სტატიების თუ სხვა სახის მასალების უნებართვოდ გამოყენების შემთხვევაში ავტორს შეუძლია ეს ფაქტი გაასაჩივროს. კანონი ვრცელდება მაღაზიებზე, სადაც აუდიო-ვიდეო დისკებს ყიდნიან, ბარ-რესტორნებსა და კაფეებზე, სუპერმარკეტებსა და სასტუმროებზე, სადაც ასევე ხშირად აქვთ ჩართული სხვადასხვა აუდიო პროდუქცია.

ჯარიმები ინტერნეტ საიტებსაც შეე-

■ „ავტორთა საზოგადოება“ საქართველოში 1999 წლიდან არსებობს, თუმცა ბოლო

პერიოდამდე საკუთარი უფლებების დაცვისთვის მას იშვიათად მიმართავდნენ.

წვრილებით გავარკვევთ, რა უფლებები აქვთ და რა შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცენენ“, – აღნიშნა „საქპატენტის“ თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე ერთი წელია მუშაობს.

„საქპატენტის“ თავმჯდომარე უკვე შეხვდა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებს. შეხვედრის ორგანიზატორი და საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე საუბრის მოდერატორი კულტურის მინისტრი ნიკა რურუა იყო.

რურუა, რომელიც ამავე დროს ახლად შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს წევრია, მიიჩნევს, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის პირველ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოებაა. მისი თქმით, ავტორებმა კარგად უნდა გაიგონ, კონკრეტულად რა დაცვას სთავაზობს კანონი მათ პროდუქციას.

„ეს იქნება სტიმული ყველასთვის, ვინც ქმნის ინტელექტუალურ პროდუქტს. ყვე-

უნდა ჩაერთოს ამ სტრუქტურის სწორად აწყობაში“, – ამბობს ბაბუნაშვილი.

სტრუქტურის აწყობა პირველ რიგში ავტორებისთვისაა მნიშვნელოვანი. ბოლო წლების ქართული კინოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი, გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ გასულ წელს არაერთი ევროპული ფესტივალის ფავორიტი გახდა. ფილმს საქართველოში დიდი ინტერესით ელოდებოდნენ, ამიტომ მისგან მოგების მიღება საკმაოდ რეალური პერსპექტივა იყო. თუმცა პირატულმა ჩანაწერებმა ყველაფერი გააფუჭა:

„გავიდა თუ არა ფილმი სატელევიზიო არხზე, მეორე დღესვე ყველა ქართულმა ინტერნეტპორტალმა თავის ვებგვერდზე დადო. დაახლოებით 150 ათასი ჩამოტვირთვა ჰქონდა ფილმს. ფაქტობრივად დივიდიზე ფილმის გამოსვლა მთლიანად ჩავარდა, აზრი აღარ ჰქონდა“, – იხსენებს ფილმის რეჟისორი, გიორგი ოვაშვილი.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერება კანონის ცვლილების გარდა ჯარიმების შემოღებამაც ითვალისწინებს.

ხება, ჯერჯერობით აქცენტი ქართულ პროდუქციაზე გაკეთდება, თუცმა სამომავლოდ avoe.ge, gol.ge, allmovies.ge და სხვა მსგავსი ვებგვერდები იძულებული იქნებიან, საიტიდან ყველა პირატული ჩანაწერი მოხსნან, ან მიიღონ ნებართვა ლიცენზირებული აუდიო/ვიდეო პროდუქციის გამოყენებაზე.

ახალგაზრდა დამწყებ ხელოვანებს, რომელთა მიზანი პირველ რიგში საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციაა, სურვილის შემთხვევაში საშუალება ექნებათ უსასყიდლოდ გაავრცელონ საკუთარი ნამუშევრები. ეს უკვე მათი თავისუფალი არჩევანი იქნება და ამ შემთხვევაში ჯარიმის გადახდა არავის მოუწევს.

დარღვევების აღმოსაჩენად გადამწყვეტი როლი მაინც თავად ავტორებზე და მათ მიერ შექმნილი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აქტიურობაზეა დამოკიდებული. საავტორო უფლებების დაცვისთვის აქტიური საინფორმაციო კამპანია 2011 წლის პირველ ნახევარში უნდა დაიწყო. ■

ფაიოზი სეცეხეხედა

ინტერვიუ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან ნიკა ვაჩიშვილთან

საპატრიარქო უნდა იყოს მოლაპარაკებების ყველაზე არსებითი მონაწილე, მაგრამ არა – გადანყვეტილების მიმღები.



არსებობს თუ არა ოფიციალური შეთანხმება თურქეთის ხელისუფლებასთან, თუ ჯერ მხოლოდ მოლაპარაკებების ეტაპია?

თურქულ მხარესთან მოლაპარაკებები 2007 წელს დაიწყო. გავიარეთ მოლაპარაკებების რამდენიმე ფაზა. საქართველოში ჩამოვიდა მათი დელეგაცია, ჩვენც ვიმყოფებოდით თურქეთში. მოლაპარაკებები ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობდა. სამუშაო დოკუმენტების ბევრი ვერსია არსებობს, მაგრამ საბოლოო, რომელზეც შესაძლოა ხელი მოეწეროს, ჯერჯერობით არ გვაქვს. საზოგადოებას ნახევარფაბრიკატი მოსაზრებებით სწორედ იმიტომ არ ვტვირთავ, რომ საბოლოო დოკუმენტი ჯერ არ არსებობს.

ამ ეტაპზე რა წინასწარი შეთანხმება არსებობს?

შეთანხმების ძირითადი ღერძი უკვე გამოკვეთილია. ეს არის პარიტეტული ხელშეკრულება. ის ნაცვალგების პრინციპზეა აგებული. ეს ნიშნავს, რომ რიცხოვნებაც და მიდგომაც იქნება თანაფარდით. შეგახსენებთ, რომ საუბარია, ერთი მხრივ, ოშკის, ხანძის, იშხნისა და ოთხთა ეკლესიების გრანდიოზული კომპლექსების თურქეთის ტერიტორიაზე აღდგენაზე და მეორე მხრივ, საქართველოში – მედრესეს (ახალციხე), იქვე წყვილი აბანოს, ხარჯავის მეჩეთის (ადიღენი), კვირიკეს და აზიზის (ბათუმი) აღდგენაზე. აზიზი დამწვარია და მის ადგილას ბათუმში განაშენიანება. მოლაპარაკებების თანახმად, მისთვის სანაცვლო ტერიტორია უნდა გამოიყოს, თუმცა ადგილი ჯერ დადგენილი არ არის.

ეკლესიებისა თუ მეჩეთების ფუნქციონირების საკითხი მოლაპარაკებების სტადიაშია და ეს არის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი. დაუდგენელია საკუთრების ფორმაც – იჯარა იქნება, შესყიდვა, უზუფრუქტი თუ – რა, ეს საკითხიც ჯერჯერობით ღიაა.

მოლაპარაკებების წინა ეტაპზეც იგივე ძეგლებზე იყო საუბარი?

ოთხთა ეკლესიის გენიალური კომპლექსი დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და ამ ეტაპზე ჩვენ ისიც დავამატეთ აღსადგენი ძეგლების ნუსხას. შესაბამისად, მის ნაცვლად ჩავსვით ხარჯავის მეჩეთი, რომელსაც ქვის ჩუქურთმები აქვს. ეს დიდი არქიტექტურული ღირებულების მქონე მკვიდრი შენობაა, თუმცა ნაგებობა დაზიანებულია.

რა კრიტერიუმებით შეირჩა ეს ძეგლები?

ორი პრინციპია: ერთი – მათი როლი, როგორც ქართული კულტურის სიმბოლო, და მეორე – მათი მდგომარეობა. ეს ძეგლები, ალავერდსა და სვეტიცხოველს არაფრით ჩამოუვარდება. მათზე დიდი, გენიალური შემოქმედება საქართველოში არ შეუქმნიათ.

რას ითხოვს თურქული მხარე ქართული მონასტრების აღდგენის სანაცვლოდ?

ფუნქციონირებისა და საკუთრების საკითხების მოგვარებას. თურქულ მხარეს სურს, რომ აშენების შემდეგ ფუნქციონირება დაიწყო აზიზის მეჩეთმა. შესაბამისად, ჩვენ ვამბობთ, რომ ფუნქციონირება დაიწყო ხანძის ან ოშკმა, მას შემდეგ, რაც ის რესტავრირდება. მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ გადანყვეტილი არ არის.

შეთანხმების პირველი რედაქციები იქნება თუ არა, ქართული ძეგლების სტატუსს თურქეთში და ჩვენთანაც ყველა ერთად საჯაროდ განვიხილავთ. მაგრამ პოზიცია ასეთია: როგორც ეს იქნება თურქეთში, ისე იქნება საქართველოში და პირიქით.

თურქული მხრიდან რომელი უწყებაა ჩართული მოლაპარაკებებში?

კულტურის და ტურიზმის სამინისტრო და მათი ძალიან დიდი და ძლიერი ძეგლთა დაცვის სამსახური.

ამ მოლაპარაკებების თაობაზე საქმის კურსში იყო თუ არა საპატრიარქო, როდიდან და რამდენად დეტალურ ინფორმაციას ფლობდა?

მოლაპარაკებების შესახებ საპატრიარქო 2007 წლიდან საქმის კურსში იყო. ყველა დოკუმენტი, რომელიც მეტ-ნაკლებად მზად იყო ლეგალიზაციისთვის, საპატრიარქოსაც ეგზავნებოდა. მაგალითად, 2008 წელს, როცა ხელმოსანერად მზად იყო შეთანხმება, გაეგზავნა საპატრიარქოსაც და იქაც მიმდინარეობდა განხილვები. ეს ბოლოდროინდელი ვარიანტი, ოფიციალურად არ გავიგზავნია მხოლოდ იმიტომ, რომ ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ არსებობს. თუმცა არაოფიციალურად ეს ვარიანტიც მიწოდებულია, რომ საქმის კურსში ყოფილიყვნენ.

შეთანხმება ძალიან სწრაფადაა მისაღწევი. ძეგლების მდგომარეობა კრიტიკულია.

რა გავლენას იქონიებს საპატრიარქოს 19 იანვარს გაკეთებული განცხადება თურქეთთან მოლაპარაკებების პროცესზე?

ვფიქრობ, ეს განცხადება უფრო გაუგებრობის შედეგია. მგონია, რომ ეს გაუგებრობა გაირკვევა მას შემდეგ, რაც ოფიციალური დოკუმენტი გამზადდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ საპატრიარქოს ზედმეტი არ უნდა მოვთხოვოთ. ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება და ვიცით, რომ საპატრიარქოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვთხოვოთ, კურთხევა მისცეს მეჩეთების ფუნქციონირებას, ან აკურთხოს მათი მშენებლობა.

მაგრამ გადანყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მონასტრის საკუთრებას და რეგულირებას ეხება,

საპატრიარქოს გარეშე, რა თქმა უნდა, არ იქნება მიღებული.

არსებობს თუ არა ამ კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის რაიმე სხვა გზა, თურქეთთან ნაცვალგების ხელშეკრულების გარდა?

მე მგონია, რომ სხვა გზა არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი მომავლის პერსპექტივით ასე ვხედავ და ეს მომავალი შეიძლება, კარგა ხანს გაგრძელდეს. მგონი, მე-16 საუკუნის შემდეგ პირველად მოხდა, რომ დავსხედით და სიძველეების გადარჩენაზე არამარტო ვსაუბრობთ, არამედ ამ საუბრის დოკუმენტად ქცევას ვცდილობთ.

ჩვენ შეიძლება ვთქვათ – არ ვმონაწილეობთ ამ სიძველეების გადარჩენაში და ამაზე თურქეთმა იზრუნოს. მაგრამ მაშინ ნულარ გვექნება პრეტენზია, რომ რაღაც დაირღვევა, გადასხვაფერდება, გაქრება და ა.შ.

თუ გვინდა, რომ ეს ტაძრები კარგად გაკეთდეს, უნდა გააკეთონ ქართველმა სპეციალისტებმა.

შეთანხმება ძალიან სწრაფადაა მისაღწევი. ძეგლების მდგომარეობა კრიტიკულია. შეიძლება, მათ კიდევ 5 საუკუნე გაძლონ, მაგრამ შეიძლება, რამე საშინელება დღესაც მოხდეს.

ამ ძეგლების გადარჩენა არ უნდა აფუროთ სხვა საკითხებში. რელიგიის პოლიტიკა ამ ხელშეკრულებასთან კავშირშია, მაგრამ ის უნდა გახდეს სხვა მოლაპარაკებების საგანი. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თუ სამომავლო ყველა სურვილი რომ ამ ხელშეკრულებას ავკიდოთ, ეს ამ პროცესს დაამძიმებს და საერთოდ გააჩერებს.

რატომ შეჩერდა თურქეთთან მოლაპარაკების პროცესი სამი წლის წინ?

ეს პროცესი მაშინ სწორედ იმიტომ შეწყდა, რომ ჩვენ, გამოუცდელით და სხვების სურვილით, მოვინდომეთ, ამ ხელშეკრულებას ბევრი ფუნქცია აქვს. მაგალითად, ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, რომ საპატრიარქო აუცილებლად უნდა მისცეს კურთხევა მეჩეთების განახლებასა და მშენებლობას. ჩემი, როგორც კულტურის მინისტრის პირადი დანაშაულიც მგონია, ამის მოლოდინი რომ მქონდა. ახლა კი ვხვდები, რომ ამით საპატრიარქო უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენეთ. საპატრიარქო უნდა იყოს მოლაპარაკებების ყველაზე არსებითი მონაწილე, მაგრამ არა – გადაწყვეტილების მიმღები.

ვის საკუთრებას წარმოადგენს ქართული ეკლესია-მონასტერები ტაო-კლარჯეთში?

რამდენადაც ვიცი, საერთაშორისო სამართალი ამბობს, რომ ძეგლები არის იმ ქვეყნის საკუთრება, სადაც ის მდებარეობს. შესაბამისად, ეს ძეგლები არის თურქეთის საკუთრება.

საპატრიარქოს განცხადებაში წერია, რომ გაცილებით პრიორიტეტულია არდაშენის ტაძრის აღდგენა, ხახულის ტაძრიდან მეჩეთის გადატანა და მისი მნახველთათვის გახსნა. რამდენად რეალურია ამ პირობების შესრულება თურქული მხრიდან?

არდაშენის ტაძარი საერთოდ ძლიერ ვიპოვე. ჯერ დასადგენი და საკვლევია, ეს ტაძარი ქართული კულტურის ძეგლია თუ არა. ამ კითხვაზეც არ გვაქვს ზუსტი პასუხი. ჩვენ მას ვერ შევადარებთ ვერც ერთ იმ ძეგლს, რომლებზეც შეთანხმება მიმდინარეობს. ხახულის ტაძარი კი ერთადერთი ის სიძველეა, რომელიც ყველაზე კარგადაა ნაპატრონები თურქეთში. ანუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გადარჩენა საბედნიეროდ, არ ენება ხახულს.

უნდა განვსაზღვროთ, ჯანსაღი ტაძრის რესტავრაცია გვირჩევნია, თუ სხვა ძეგლების გადარჩენა. **■**

ესაუბრა ნათია ახალაშვილი.

BP, ჯიჯი და საჯიჯი



მარკ მალენი

ახლახან დიდი გარიგების შესახებ გახდა ცნობილი. რამდენიმე კვირაში ნავთობკომპანია BP-ის აქციების 5 პროცენტი რუსული „როსნეფტის“ ხელში გადავა, „როსნეფტის“ აქციების 9.5% კი – BP-ის გადაეცემა.

ეს გარიგება კრემლს BP-ის აქციების ყველაზე დიდ მენილედ აქცევს. BP კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მთავარი მენილეა.

რას წარმოადგენენ ეს კომპანიები, რატომ დადეს გარიგება და რას ნიშნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის?

უდიდეს ნავთობკომპანია BP-ის, არსებობის 100 წლის განმავლობაში, არაერთი ბიზნეს-გარიგება ახსოვს. „ბიპი“ მაშინ დაარსდა, როდესაც დაახლოებით 100 წლის წინ, ირანში ნავთობი აღმოაჩინეს. ამ კომპანიამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1953 წლის ირანის გადატრიალებაში, რომელიც პრემიერ-მინისტრ მოსადექის წინააღმდეგ ამერიკის დაზვერვის ცენტრალურმა სააგენტომ (CIA) და ბრიტანეთის მთავრობამ მოაწყვეს. ბევრი თვლის, რომ ამ გადატრიალებამ ირანის მოსახლეობის გულის აცრუება და 1979 წლის ისლამური რევოლუცია გამოიწვია.

ტეტჩერის მმართველობის დროს ბრიტანეთის მთავრობამ კომპანიაში თავისი წილი მთლიანად გაყიდა. 1995 წელს BP-ის აღმასრულებელი დირექტორი ჯონ ბრაუნი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაუნი ერთერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ადამიანი იყო მსოფლიოში (მისი შემოსავალი წელიწადში დაახლო-

ებით 10 მილიონი იყო), მან კომპანიის ხარჯების გვარიანი შემცირება დაიწყო, მათ შორის, შეამცირა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯები. პარალელურად, BP-მ წამოიწყო ახალი პიარკამპანია და საკუთარ თავს წარმოაჩინდა, როგორც გარემოს დამცველ კომპანიას.

მას შემდეგ, რაც უსაფრთხოება კომპანიის ხარჯვითი პრიორიტეტებიდან ამოიღეს, გახშირდა უბედური შემთხვევები. 2005 წელს ტეხასის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში აფეთქება მოხდა, რამაც 15 ადამიანის სიცოცხლე შეინირა. BP-ის 50 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. რამდენიმე წლის შემდეგ, BP-ის კიდევ 87 მილიონის გადახდა დააკისრეს, რადგან მან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები არ მოაგვარა და ინციდენტი კვლავ განმეორდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ BP-ს წამყვანი როლი აქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში. ის ახლა ნავთობსადენის ყველაზე დიდი მენილე (აქციების 30 %-ით) და განმკარგველია. BP-ის დიდი ინვესტიციები აქვს აზერბაიჯანშიც. 2008 წლის სექტემბერში, კასპის ზღვის გაზის მოპოვებულ კომპლექსში აფეთქება მოხდა. ამჯერად, არავინ დაღუპულა და „BP-მ ისიც კი მოახერხა, რომ ინციდენტი საკუთარი პარტნიორებისთვის დაემალა.

„როსნეფტის“ ისტორია გაცილებით მარტივია. ის, ფაქტობრივად, რუსეთის „ნავთობის სამინისტროა“. როდესაც კრემლმა ხადარკოვსკი დააპატიმრა და რუსეთის ყველაზე დიდი და თანამედრო-



BP-ს აღმასრულებელი დირექტორი ბობ დალი და „როსნეფტის“ პრეზიდენტი ელუარდ ხუდაინატოვი, ლონდონი, 14 იანვარი 2011

ვე კომპანია „იუკოსი“ დაშალა, „იუკოსის“ აქციების წილი არაღელვარულად სწორედ „როსნეფტს“ გადასცა. რუსეთს მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა არ აქვს და ამის გამო, დავამ საერთაშორისო სამართალოებში გადაინაცვლა. „იუკოსის“ 55 000 მენილეს სურს, რომ რუსეთის მთავრობისგან წართმეული წილები დაიბრუნოს. საერთაშორისო სასამართლოები, დიდი ალბათობით, საქმეს სწორედ მათ სასარგებლოდ გადაწყვეტენ.

მაშ, რატომ გაერთიანდნენ BP და „როსნეფტი“?

გასულ ზაფხულს მექსიკის ყურეში მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დიდი ნავთობგაჟონვა მოხდა. ეს კატასტროფაც BP-ის ცუდი მენეჯმენტის შედეგი იყო. ინციდენტმა წარმოუდგენელი ზიანი მიაყენა გარემოს, ეკონომიკას და რამდენიმე ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა. ეს დაუდევრობა BP-ის ძვირი დაუჯდა და კიდევ მეტი დაუჯდება.

„როსნეფტი“, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის მთავრობის მფლობელობაშია, ისეთივე ნამდვილი კომპა-

ნია არ არის, როგორც „იუკოსი“ იყო. „როსნეფტს“, უბრალოდ, არ შეუძლია ნავთობის აღმოჩენისა და მოპოვების ჩახლართულ საქმეს თავი მოაბას. სწორედ ამიტომ, რუსული ნავთობწარმოება წლების მანძილზე მცირდებოდა. მათ საერთაშორისო ექსპერტული დახმარება ჭირდებათ, მაგრამ საერთაშორისო კომპანიები „როსნეფტს“ ერიდებიან, რადგან კარგად ახსოვს „იუკოსის“ საქმე და ზოგადად, რუსეთში გამეფებული კორუფცია. BP-ის კი დღეს, მას შემდეგ, რაც ზაფხულში დაემართა, ვინმესთან პარტნიორობა სასიცოცხლოდ სჭირდება. გარიგებაც აქედან წარმოიშვა.

ხშირად ამბობენ, რომ გეოპოლიტიკაში მორალი როლს არ თამაშობს, მაგრამ ქვეყნების საქციელზე მსჯელობა მაინც ღირს. ცოტა ადამიანს თუ შეუძლია თქვას, რომ შედეგით მსოფლიოზე უარყოფით გავლენას ახდენს, ან ჩრდილოეთ კორეა – დადებითს. იგივე შეიძლება ითქვას კომპანიებზე. მაგალითად, ერთმა ნავთობკომპანიამ „ექსონ-მობილმა“ დიდი დრო და არანორმალურად ბევრი

ფული დახარჯა იმისათვის, რომ ამერიკის კონგრესი და საზოგადოება დაერწმუნებინა, გლობალური დათბობა ადამიანის და გამოლევადი ბუნებრივი სანვავის გამომწვეული არ არისო. ისინი ამ საშიშ ტყუილს საკუთარი ინტერესის გამო ავრცელებდნენ. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული აზრით, „ექსონ-მობილი“ ცუდი კომპანიაა. ბევრისთვის ისიც ცნობილია, რომ BP უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკმარის თანხებს არ ხარჯავდა, რასაც არაერთხელ სასიკვდილო და ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის? რამდენიმე კვირაში, კრემლი იმ ნავთობკომპანიის ყველაზე დიდი მენილე გახდება, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მესამედს და მართვის უფლებას ფლობს. საქართველო BP-ის და მის ჩრდილოელ პარტნიორს დიდი ყურადღებით უნდა მოუკიდოს. **■**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაია.

საოცების დაფინანსების სისტემის სვლია



რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა სკოლების დაფინანსების ძველ სისტემას და რა რისკებს შეიცავს ახალი.

სიმონ ჯვანაშია

განათლების მკვლევრის, პეტერ რადოს აზრით: ევალიტარული პრინციპების მომხრეებს უნდათ, რომ ყველას ყველაფერი თანაბრად მიეწოდებოდეს. ელიტისტური სისტემის მხარდამჭერების აზრით, ხარისხიან განათლებას ის უნდა იღებდეს, ვინც ამას იმსახურებს. თავისუფალი ბაზრის მომხრეების თანახმად, ხარისხიან განათლებას ის უნდა იღებდეს, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს. ხოლო დემოკრატიული პრინციპების მომხრეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხარისხიან განათლებას იღებდეს ყველა.

ცხადია, რომ ამგვარი კლასიფიკაცია სხვადასხვა კონცეპტუალური ჩარჩოსა და შესაძლებელი მიდგომის ერთგვარი გამართვებაა, მაგრამ ანალიზში მანაც დაგვემარებება. ჩვენთან განათლების დაფინანსების სისტემა, სამწუხაროდ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომის როგორც უარყოფით, ისე დადებით ელემენტს აერთიანებს და პრობლემებიც ყველა მიმართულებით აქვს.

ჩვენთან ზოგადი განათლების დაფინანსების სისტემა ძირეულად შეიცვალა 2005 წელს. ახალი პრინციპის მიხედვით, თითოეულ მოსწავლეზე გამოიყო სტანდარტული თანხა, რომელსაც სკოლა იღებს. ამ სისტემის შემოღებას რამდენიმე დადებითი მხარე ჰქონდა.

ვაუჩერულ სისტემას სკოლებს შორის ჯანსაღი კონკურენციის გაჩენის პოტენციალი აქვს. ვაუჩერი ჩემი შვილის განათლებისთვის სახელმწიფო დაფინანსებიდან გამოყოფილი წილია. როგორც სერვისის მომხმარებელი, მე სკოლას ვირჩევ, რომელიც ჩემს მიმართ ფინანსურად ანგარიშვალდებული ხდება.

ვაუჩერული სისტემა სკოლას მეტ ავტო-



ილუსტრაცია სოფო აბოთაძე / ნინო სახელმწიფო

■ განათლების საერთო ბიუჯეტისა და ვაუჩერის თანხის ერთიანად ზრდის ნაცვლად სახელმწიფომ შეზღუდული

დაფინანსების გადანაწილების სხვა გზა ნახა. სკოლებისთვის განკუთვნილი თანხა ორ ნაწილად გაყო.

ნომიას და, შესაბამისად, პასუხისმგებლობას გადასცემს. ეს, თავის მხრივ, მას ხარჯების ოპტიმიზაციისკენ უბიძგებს. სკოლამ წინასწარ იცის, რა არის მისი ბიუჯეტი. თუ ადმინისტრაციის ან კომუნალური ხარჯები გაუმართლებლად მაღალია, დიდი ალბათობით, სკოლას ძირითადი ფუნქციის შესრულება გაუჭირდება.

ეს სისტემა უფრო სამართლიანს და დემოკრატიულს ხდის დაფინანსების განაწილე-

ბის პრინციპსაც. ვაუჩერების შემოღებამდე, სკოლას ადგილობრივი მუნიციპალიტეტები აფინანსებდნენ. მუნიციპალიტეტის შიგნით სკოლების დაფინანსება განსხვავებული იყო. საჭიროებების გარდა, ამას ხანდახან სკოლის დირექტორისა და ხელისუფლების სიახლოვეც განაპირობებდა.

სისტემას ბევრი ნაკლიც ჰქონდა. ვაუჩერის ოდენობა დათვლილი არ იყო იმის მიხედვით, თუ რა თანხა საჭირო ხარისხიანი

განათლების მისაღებად საქართველოში მაშინ, როცა ვაუჩერის მოცულობა საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდა და არა მხოლოდ შესაძლებლობებს. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაუჩერული დაფინანსების შემოღებით მხოლოდ არსებული სახსრების უკეთ გადანაწილება მოხდა.

გარდა ამისა, შეზღუდულია სკოლებს შორის კონკურენცია, რომელსაც ვაუჩერული სისტემა ეფუძნება. გეოგრაფიული თავისებურებები, სკოლების სიმცირე, განუვითარებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და სოციალური პირობები ამცირებენ სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობას, რომ, უკმაყოფილების შემთხვევაში, სხვა დასახლებულ სკოლაში ატარონ თავიანთი შვილები. საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ისეთ დასახლებაში ცხოვრობს, სადაც ერთზე მეტი სკოლაა. თუმცა, აქაც არჩევანი იზღუდება ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯებისა და არჩევნის გასაკეთებლად აუცილებელი ინფორმაციის ნაკლებობის გამო. შესაბამისად, მშობლების ნაწილს უჭირს სკოლების შედარება.

ვაუჩერული სისტემა ზოგჯერ ფინანსური ეფექტიანობის ხარჯზე სკოლას გარემოს გაუარესებისკენ უბიძგებს. ეს ხშირ შემთხვევაში განათლების ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. იქ, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია, სკოლების ნაწილმა შესაძლოა, იმაზე მეტი მოსწავლე მიიღოს, ვიდრე ეს გამართლებული იქნებოდა. არადა, პატარა სკოლებში არა მხოლოდ ფინანსების მართვა უფრო მარტივი, არამედ სასწავლო პროცესის გაჯანსაღებაც. იქ სასკოლო კლიმატიც უკეთესია: მეტია სასკოლო თემის ერთიანობის შეგრძნება, ნაკლებია ძალადობის ფაქტები.

ვაუჩერის სისტემურ ნაკლს პოლიტიკური პრობლემები ემატება. ბოლო სამი წლის განმავლობაში, არჩევნებთან კავშირში მასწავლებლის მინიმალური ხელფასი წელიწადში რამდენიმეჯერ შეიცვალა. გაჩნდა კომუნალური ხარჯების ანაზღაურების პრაქტიკაც. ეს სკოლებში ფინანსურ დაგეგმვას ართულებდა. სკოლების რიცხვი, სადაც ვაუჩერული დაფინანსებით შესული თანხები არ ჰყოფნიდათ, გაიზარდა და უკვე 2010 წლისთვის სკოლების ნახევარი ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

პრობლემას ვაუჩერის გამოთვლის არსე-

ბული ფორმულის თავისებურებაც იწვევდა. მცირეკონტინგენტთან სკოლებში ხელფასების მინიმალურად გასაზრდელად ქვეყნის მასშტაბით ვაუჩერის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა იყო საჭირო. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდიდა დიდი სკოლების შემოსავლებსაც მათი ხარჯების პროპორციულად ზრდის გარეშე.

განათლების საერთო ბიუჯეტისა და ვაუჩერის თანხის ერთიანად ზრდის ნაცვლად სახელმწიფომ შეზღუდული დაფინანსების გადანაწილების სხვა გზა ნახა. სკოლებისთვის განკუთვნილი თანხა ორ ნაწილად გაყო. ერთი ხმარდებოდა ნორმალურ ვაუჩერულ დაფინანსებას. მეორე ნაწილიდან კი ხდებოდა იმ სკოლებისთვის თანხის შევსება, რომლებსაც ვაუჩერული დაფინანსება არ ყოფნიდა გარდაილი ხელფასების პირობებში. გადანაწილებას შესასვებ თანხაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული კომისია იღებდა.

2010 წლის 23 დეკემბერს ვაუჩერის გამოთვლის ფორმულა შეიცვალა. საქართველოს სკოლებს სახელმწიფო ამის შემდეგ არა მხოლოდ მოსწავლეების საერთო რაოდენობით აფინანსებს. საჯარო სკოლები ორ დიდ ჯგუფად დაიყო: ისინი, რომლებშიც მოსწავლეების რაოდენობა 160-ს არ აღემატება და დანარჩენი სკოლები.

პირველ ჯგუფში საქართველოში არსებული, დაახლოებით, 2100 საჯარო სკოლიდან 1300-ზე მეტი სკოლა მოხვდა. ამ სკოლების მასწავლებლების სახელფასო ფონდი საკლასო განყოფილების და სასწავლო გეგმაში საათების მოცულობის მიხედვით დგება. ადმინისტრაციის ხელფასი კი მასწავლებლების სახელფასო ფონდიდან გამომდინარე გამოითვლება. სრული სახელფასო ფონდის გათვალისწინებით გამოითვლება დამატებითი ხარჯებისთვის (კომუნალური, ინფრასტრუქტურა და სხვ.) საჭირო თანხა.

მეორე ჯგუფში გაჩნდა საბაზო დაფინანსების პრინციპი, რომელსაც ის საჯარო სკოლები იღებენ, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა 600 მოსწავლეზე ნაკლებია. რაც უფრო მცირეა სკოლა, მით უფრო მეტს იღებს თითოეულ მოსწავლეზე ვაუჩერულ და საბაზო დაფინანსებას.

განსხვავებული მიდგომა გაჩნდა კერძო სკოლების მიმართ. თუ ამ ცვლილებამდე

კერძო სკოლები საჯარო სკოლების იდენტურად ფინანსდებოდა, ამიერიდან კერძო სკოლები ყველაზე ნაკლებ თანხას მიიღებენ თითოეულ მოსწავლეზე.

სისტემის ცვლილება ზოგიერთი პრობლემის მოგვარებისთვის კარგი წინაპირობაა. ცვლილებების უდავოდ დადებითი მხარეა ის, რომ მცირეკონტინგენტის სკოლების დაფინანსების სისტემა გამჭვირვალე ხდება. თუ შარშანდლამდე, ამ ფინანსური დანაკლისის შევსება კომისიის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, ამჯერად სკოლას შეუძლია, თვითონაც გამოთვლოს საკუთარი ბიუჯეტი. შესაბამისად, ფინანსური ავტონომია შემოსავლების ნაწილში სკოლებს მეტი აქვთ.

უარყოფითი მხარე ის რისკებია, რომლებსაც ეს სისტემა შეიცავს და რომლებსაც მართვა სჭირდება. მაგალითად, სკოლებს გარკვეულ შემთხვევებში უჩნდებათ ინტერესი, რომ ხელოვნურად შეზღუდონ მოსწავლეთა რაოდენობა. მართალია, სჯობს, რომ სკოლაში ნაკლები მოსწავლე სწავლობდეს, მაგრამ ხელოვნური შეზღუდვა ქალაქის ზოგ უბანში შეიძლება, განათლების ხელმისაწვდომობასაც კი ამცირებდეს.

ასევე უარყოფითად შეიძლება, ჩაითვალოს ის, რომ კერძო სექტორის ხელშეწყობა შემცირდა. მათ არა მარტო ვაუჩერის მოცულობა აქვთ მცირე, არამედ არც საბაზო დაფინანსება ერგებათ. შესაძლოა, ამან ხელი შეუშალოს კონკურენციის და ამავდროულად, ნაკლებად ნაახალისოს ახალი სკოლების გაჩენაც.

პრობლემური რჩება ცვლილებების დაწესების მეთოდოლოგია და სახელმწიფო მოხელეების მიდგომა საზოგადოების მიმართ. ჯობდა ახალი სისტემის პილოტირება მომხდარიყო სკოლების გარკვეულ ჯგუფზე და შემდეგ დანერგილიყო მთელ სისტემაში. მით უფრო, 2005 წლის გამოცდილებამ უკვე აჩვენა, რომ დანერგვამდე ფორმულას მეტი გამოცდა სჭირდებოდა.

რაც შეეხება სახელმწიფო მოხელეების პრობლემასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, უკეთესი იქნებოდა, გამოქვეყნებულიყო რამე სახის დოკუმენტი, რომელიც საზოგადოებას აუხსნიდა ცვლილებების არსს იმისთვის, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს შეფასება – რამდენად ახლოს არის ჩვენი განათლების სისტემა ჩვენს კონცეპტუალურ ჩარჩოებთან. ■

მემახსოვნები, მემახჯვენები თუ ზომიეხები?



ახალგაზრდა ქართველ მემარცხენეებს და მემარჯვენეებს იოლად ხელმისაწვდომი ძალაუფლებისგან თავის შორს დაჭერა სჭირდებათ.

გიორგი ცხადაია

ქართულ პოლიტიკაში იდეოლოგიურ და თემატურ საკითხებზე იშვიათად კამათობენ – აქ ყველა პირდაპირ ხელისუფლების შეცვლა-არშეცვლაზე დავობს.

ამიტომ იდეოლოგიური ნიშები, ძირითადად, ახალგაზრდა აქტივისტებმა დაიკავეს.

ბოლო ერთი კვირაა, ქართულ ბლოგებზე და სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ქართველი ახალგაზრდების ერთ ნაწილს შორის აქტიური დებატები მიმდინარეობს. „როგორი უნდა იყოს ქართული მემარცხენეობა“ – ეს დავის მთავარი კითხვაა. ცოტა უფრო ადრე, მსგავსი იდეოლოგიური დებატები იმავე სივრცეში ახალგაზრდა მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის გაიმართა. ორივე დებატში აქტიურად ვიყავი ჩართული და მხარეების პოზიციაც ჩემთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია.

როგორები არიან ახალი ქართველი იდეოლოგები?

ახალგაზრდა ქართველი მემარჯვენეები უფრო „ტაბულაში“ და ხელი-სუფლებასთან დაახლოებულ წრეებში არიან კონცენტრირებული. მართალია, ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას „ახალი მემარჯვენეები“ ჰქვია, მაგრამ ოპოზიციონერი ლიბერტარიანელი (მემარჯვენე) ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურობენ. შესაძლოა, ისინი საჯარო სივრცეში არც კი არსებობდნენ. ხელი-სუფლების მხარდამჭერ ახალგაზრდა მემარჯვენეებს სჯერათ, რომ ბაზარს სახელმწიფო რეგულაციებით არ უნდა ამძიმებდეს, გადასახადები ყველა ფუნისთვის დაბალი უნდა იყოს და საყო-

ველთაო პრივატიზაცია ქვეყანას სიკეთეს მოუტანს.

სააკაშვილის ხელისუფლებამ გარკვეული „მემარჯვენე“ ნაბიჯები უკვე გადადგა: ბიზნესს 20 %-იანი სოციალური გადასახადი გაუუქმა, პირად შემოსავლებზე პროპორციული გადასახადების სისტემა შემოიღო და ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმა (შემდეგ ევროკა-

■ ზომიერი პოზიცია დღეს საქართველოში არც ისე პოპულარულია. მას, ვინც ევროპული ტიპის სოციალური დემოკრატიის მხარდამჭერია, ვირტუალურ საჯარო სივრცეში ორივე ჯგუფთან უნევს დაპირისპირება.

ვშირის დაჟინებული მოთხოვნით, ნაწილობრივ მაინც აღადგინა), მაგრამ ახალგაზრდა ლიბერტარიანელებთან და მათ უფროს მასწავლებელთან – კახა ბენდუქიძესთან შედარებით, ხელისუფლება უფრო მეტად მემარჯვენე-ცენტრისტულია, ვიდრე გამოკვეთილად ლიბერტარიანული.

ერთეულ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, ახალგაზრდა ქართველი მემარჯვენეები, ხელისუფლების კრიტიკისგან თავს იკავებენ. მაშინაც კი,

როდესაც ისინი ხელისუფლებას აკრიტიკებენ, არასდროს ახსენებენ ბიზნესის შევიწროებისა (რაც თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმაც კი აღნიშნა) და ხელისუფლების რეკეტის ფაქტებს.

ახალგაზრდა მემარჯვენეების „კერპები“ კახა ბენდუქიძის, ლადო გურგენიძის და სხვა ქართველი ბიზნესმენების გარდა, უცხოელი ეკონომისტები და პოლიტიკოსები არიან (ჰაიეკი, ფრიდმანი, რეიგანი...). მათი ეკონომიკური დოქტრინა კი საბჭოთა კოლექტიური ეკონომიკის ერთგვარი შებრუნებაა: თუ საბჭოთა დროს ეკონომიკის ყველა ასპექტი სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა, ლიბერტარიანელი მემარჯვენეების აზრით, ბაზარი სახელმწიფოს ჩარევისგან სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. თუ საბჭოთა დროს ყოველისმომცველი გადარჩენის ფორმულა ეკონომიკის ყველა სფეროს ნაციონალიზაცია და ტოტალური კონტროლი იყო, ახლა პირიქით, პრივატიზაცია და ბაზარში ჩაურევლობა ყველა პრობლემის გადამწყვეტი ნაშალი ხდება.

ქართველი ახალგაზრდა მემარცხენეები მემარჯვენეებზე უფრო ორგანიზებული არიან. ისინი, ძირითადად, ორ დაჯგუფებაში არიან კონცენტრირებული: პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალგაზრდა სოციალისტები“. პირველი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ისეთი საეჭვო რეპუტაციის პოლიტიკოსიც არის, როგორც შევარდნაძის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩიმაშვილია. მეორე ჯგუფი ნაკლებად პოლიტიკურია და

სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანებს შორის დისკუსიის ნახალისებას უწყობს ხელს. მესამე ჯგუფიც არსებობს – ახალგაზრდების ნაწილი, რომლებიც, მართალია, არც პოლიტიკური პარტიის წევრები არიან და არც საზოგადოებრივი მოძრაობის, მაგრამ ორივესთან მჭიდროდ თანამშრომლობენ და სოციალისტური იდეების გავრცელებას აქტიურად უჭერენ მხარს.

ახალგაზრდა მემარცხენეების ჯგუფებში პირობითად ორი ტიპის შეხედულების ადამიანების გამოყოფა შეიძლება: ზომიერი სოციალ-დემოკრატების და რადიკალების.

პირველი, პირობითად ზომიერი ჯგუფი, იმის მომხრეა, რომ საზოგადოებაში უმცირესობების უფლებები და სხვა „ნეოლიბერალური“ (მემარჯვენე) ღირებულებებიც დაიცვან და პარალელურად, სოციალური უფლებების შესახებ საზოგადოების და ხელისუფლების ინფორმირება გაზარდონ. ამგვარი შეხედულება ახლოს დგას ევროპული სოციალ-დემოკრატიის და ამერიკული პროგრესივიზმის (მემარცხენე ლიბერალიზმის) იდეალებთან და საზოგადოების თანდათანობით, ევოლუციურ განვითარებას ემხრობა.

მეორე ჯგუფი, რომელსაც პირობითად რადიკალები დავარქვით, უფრო მეტ აქცენტს ადამიანების სოციალურ უფლებებზე აკეთებს და ე.წ. „კულტურის კრიტიკოსი“ ლიბერალების მიმართ ადევბული დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ისინი თვლიან, რომ ლიბერალები უმცირესობის უფლებების დაცვით და საზოგადოების კრიტიკით, ხელისუფლების „ნისქვილზე ასხამენ წყალს“, რადგან ამით ხელისუფლების პრეტენზიას, რომ ხალხი განუფითარებელი და ჩამორჩენილია, საფუძველს უმაგრებენ.

რადიკალი მემარცხენისთვის მხოლოდ სოციალურ უფლებებზე აქცენტის გაკეთება პოლიტიკურად მომგებიანია, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა, ალბათ, თანხმდება, რომ ყველა ადამიანი სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს და რომ სახელმწიფომ ჯანდაცვის, სოციალური დახმარების, მონოპოლიების მოსპობის და სამუშაო ადგილების შექმნის საკითხებში უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს. სოციალური უფლებების ქადაგებაზე უფრო რთული და გრძელვადიანი სამოქალაქო საზოგადოების შენებაა – ადამიანის უფლებების, ტოლერან-



ტობის, პლურალიზმის, გენდერული თანასწორობის იდეების პოპულარიზაცია. იმისთვის, რომ ისეთი სამოქალაქო საზოგადოება შეიქმნას, რომელიც სოლიდარობის, თანასწორობის და თავისუფლების პრინციპზე იქნება დაფუძნებული, საზოგადოების უმრავლესობა უზოგად პრინციპებზე უნდა შეთანხმდეს. ამიტომ, რადიკალი მემარცხენეების მიერ ქართველი „ლიბერალების“ კრიტიკა გაუმართლებელია, განსაკუთრებით იმ ნაწილის, რომელიც ხელისუ-

ფლებასთან არ თანამშრომლობს.

თუ რადიკალი მემარცხენეები „ლიბერალების“ კრიტიკის ნაცვლად, პოზიტიურ რიტორიკაზე – სოციალური უფლებების აუცილებლობაზე გააკეთებენ აქცენტს, მაშინ მათი რიტორიკა ზომიერი გახდება, სხვა შემთხვევაში ისინი ძალიან დაუახლოვებიან საქართველოს ლეიბორისტული პარტიის რიტორიკას. ლეიბორისტული პარტიისთვის ყველა ბოროტების სათავე ხელისუფლებაა და ქვეყნის ყველა პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა – სააკაშვილის გადადგომა.

ზომიერი პოზიცია დღეს საქართველოში არც ისე პოპულარულია, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ მას, ვინც ევროპული ტიპის სოციალური დემოკრატიის მხარდამჭერია, ვირტუალურ საჯარო სივრცეში ორივე ჯგუფთან უნევს დაპირისპირება. თუმცა მათ შორის უკვე ის ხალხიც იკვეთება, ვინც ზემოთაღნიშნულ ზომიერ პოზიციას იზიარებს და რადიკალურ და გაუაზრებელ რიტორიკას რაციონალურ მსჯელობას არჩევს. რა თქმა უნდა, ემოციური და რადიკალური რეპლიკებიც მრავლად ისმის.

ჩემთვის ერთი რამ არის ცხადი: ახალგაზრდა ქართველ მემარცხენეებს და მემარჯვენეებს იოლად ხელმისაწვდომი ძალაუფლებისგან თავის შორს დაჭერა სჭირდებათ. მემარჯვენეებმა უფრო მეტად უნდა აკრიტიკონ ხელისუფლება და ამით თავისუფალი ბიზნესის ინტერესების დამცველი ჯგუფების როლი შეასრულონ. ახალგაზრდა მემარცხენეებმა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოპულისტური რიტორიკისგან თავი უნდა შეიკავონ და სამოქალაქო საზოგადოების შენებას ხელი შეუწყონ. სხვა შემთხვევაში, საზოგადოების თვისებრივი ცვლილება შეუძლებელი იქნება. **■**

პრეზიდენტი, ჰიმნები, მახშები...



„გვიხარია! აქ ხომ სიცოცხლე დულს და ჩქეფს! ამ ქვეყანას ფერადს ჩვენ შევაცვარებთ სხვებს. დღეს ჩვენ ერთად ვართ, სულ ერთად ვიქნებით და ეს გვწამს. და ჩვენს სამშობლოს ვაჩუქებთ ყოველ წუთს... იქ, სადაც ოცნებაა ლამაზი, კეთილი, ხალასი, სულ გინდა ყოფნა და გათბობს იმედი ხვალინდელ დღის...“ ციტატა პატრულის უკანასკნელი მუსიკალური რგოლიდან.

ნინია კაკაბაძე



პრეზიდენტი ჯუგაშვილის საჯარო სკოლაში, 20 იანვარი, 2011



დევნილთა გამოსახლება ბაგებიდან, თბილისი, 20 იანვარი, 2011

შესანიშნავმა მუსიკოსმა და პოეტმა ქვეყნის ლიდერს ასე მიმართა: „პატრიოტიზმს პლაკატის მეშვეობით ვერ შევქმნით. ძალიან ბევრ რამეს ვხედავ ჩვენთან, ვხედავთ ამ პლაკატს, მის იერსახეს. ვხედავთ ჰიმნებისა და მარშების გზით პატრიოტიზმის და შენების ქვეყანაში რაიმე სინდისიერის დანერგვის მცდელობას. ეს ყველაფერი გავლილი გვაქვს! სამოქალაქო საზოგადოება და ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, აბსოლუტურად ყველასი, თქვენიც და ჩემიც – მხოლოდ მაშინ დაიწყება, თუ დავიწყებთ საავადმყოფოების შენებას, დავეხმარებით ბავშვებს, ღარიბებს, ინვალიდებს, მოხუცებს და ეს ყველაფერი გულიდან წამოვა, პირნათელი და გულწრფელი იქნება... ამისათვის პრესის თავისუფლებაა საჭირო, რადგან ახლა ეს არ გვაქვს, სულ რაღაც გაზეთნახევარია და ტელევიზიის ნაწილი. სიმართლე ვთქვათ, ის, რასაც ახლა ტელევიზორში ვუყურებთ, უკაცრავად და, ეს

უბრალოდ... პოლემიკაც კი აღარ არის. ეს მხოლოდ ჰიმნები და მარშებია... ამასობაში, საპროტესტო ელექტორატი მატულობს, ის იზრდება. შექმნილი სიტუაციით ძალიან ბევრია უკმაყოფილო. როგორ ფიქრობთ? გაქვთ თუ არა დაგეგმილი, ნამდვილად მოახდინოთ ქვეყანაში სერიოზული, გულწრფელი, პატიოსანი ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია? ...“

არც ამ სიტყვების ავტორია საქართველოს მოქალაქე (პოეტი და მუსიკოსი) და არც ადრესატია საქართველოს პრეზიდენტი. ამ სიტყვებით მუსიკალური ჯგუფის DDT-ს სოლისტი, იური შევჩუკი ვლადიმირ პუტინს მიმართავს. მიუხედავად იმისა, რომ შევჩუკის მიერ წარმოთქმული ტექსტი ერთი ერთში ჯდება ქართულ სინამდვილესთან, საქართველო რუსეთი მაინც არ არის. თუმცა, „პლაკატურობით“ ერთი ერთზე ვემთხვევით ამ საბჭოთა „წარსულის“ მქონე, დიდ და ბოროტ იმპერიას. მთავარი სხვაობა ის არის, რომ

ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს იური შევჩუკი, რომელიც ქვეყნის მმართველს პირდაპირ ეთერში ამ სიტყვებით მიმართავს.

კომუნისტური იდეოლოგიის, თამაშის წესების, პროპაგანდის იარაღს კი ორივე ჩვენგანი (საქართველო და რუსეთი) წარმატებით ვიმეორებთ. თუმცა საქართველო და ქართული მედია უფრო კომიკურად გამოიყურება. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ნაციონალურ არხზე, წამყვანმა საინფორმაციო გამოშვებამ ვრცელი სიუჟეტი შემოგვთავაზა იმის შესახებ, თუ როგორ ბაძავს ვლადიმირ პუტინს მიხეილ სააკაშვილს. საუბარი იყო კამერების თანდასწრებით სხვადასხვა სპორტულ, გასართობ, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე. სასაცილოა.

„საქართველო გვიყვარდეს ყველას, საქართველო დავიცვათ ყველამ სისხლით, საქმით, ერთგულებით, სიყვარულით, ერთად დგომით, ერთი საქმით, ერთი მიზნით, ერთმანეთის

თანადგომით, ერთმანეთის სიყვარულით გავიმარჯვევებთ!“ – ეს ციტატა უკვე იმ ვიდეო რგოლიდან არის, სადაც „ქართული პოლიცია სამშობლოზე ფიქრს დილიდან იწყებს“.

ხუთშაბათს დილით, 7 საათზე, ბაგებში, ე.წ. სტუდენტულ დასახლებაში დევნილების გეგმიური გამოსახლება დაიწყო. სიტყვა „გეგმიური“ საქართველოს პოლიციისათვის და მედიისათვის საკვანძო სიტყვაა. მათ დაგეგმეს, მაგრამ დევნილებისგან წინააღმდეგობას წააწყდნენ. იძულებით გადაადგილებულ პირებს არ სურთ თბილისის დატოვება და სოფელ ფოცხოში (მაგალითად) გადასახლება. 20 წლის წინ მათ საკუთარი სახლები დაატოვებ-

„სოფელ ჯუგაშვილს ახალი საჯარო სკოლა აქვს. სასწავლო დაწესებულება დღეს პრეზიდენტმა გახსნა. სკოლა შესაბამისა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ღია მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ინგლისურის კაბინეტი. სკოლაში მუშაობს ერთი ინგლისურენოვანი მასწავლებელი. სკოლაში 268 მოსწავლე სწავლობს. წარჩინებული მოსწავლეები მიხეილ სააკაშვილმა პორტატიული კომპიუტერებით დააჯილდოვა“, – 20 იანვრის 3 საათიანი კურიერი პრეზიდენტის კახეთში „ვიზიტით“ იწყება. სკოლის შემდეგ

■ კომუნისტური იდეოლოგიის, თამაშის წესების, პროპაგანდის იარაღს კი ორივე ჩვენგანი (საქართველო და რუსეთი) წარმატებით ვიმეორებთ. თუმცა საქართველო და ქართული მედია უფრო კომიკურად გამოიყურება.

ნეს, ახალ ქალაქში ჩამოვიდნენ, სადაც უკანასკნელი 20 წელია, ინტეგრირებას ცდილობენ. მათმა შვილებმა აქ მიიღეს განათლება, ახლაც აქ სწავლობენ, ისინი აქ მუშაობენ და ახლა აქაურობის დატოვება და სხვა სოფელში გადასახლება უნევთ. სამწუხაროდ, უკვე ეს ფრაზაც გაიცვითა, მაგრამ საკუთარი სახლებიდან ერთხელ უკვე დევნილ მოსახლეობას, ისევ დევნილობაში წასვლა უნევს.

„ჩვენ რომ ერთად ვართ, ძლიერები ვართ!“ – მღერიან პოლიციელები (ჯგუფი „მგზავრები“) საკუთარ ჰიმნში.

როდესაც დევნილების გამოსახლების კადრებს ვუყურებ, ერთი ზუსტად ვიცი, ისინი „ჩვენ“ არ არიან, ისინი უცხოები, ზედმეტები არიან და მათი ხსენების ადგილი მხოლოდ ჟენევის მოლაპარაკებებზეა, სადაც ქართული მხარე მათი არსებობით ვაჭრობს და სპეკულირებს იმისათვის, რომ ლამაზი, მზიანი და ლაყვარდოვანი აფხაზეთი არ დათმოს.

სასტუმროს გახსნა. ეს ნიუსი ახალი ამბების პირველ 12 წუთს იკავებს (დევნილების „გეგმიური“ გამოსახლების შესახებ ინფორმაცია უცხოეთის ამბების წინ, გადაცემის დაწყებიდან მე-20 წუთზე გადის).

ვუყურებ მშვენიერ სიუჟეტს კახეთიდან, ჩემი ქვეყნის შესანიშნავ მშენებელ პრეზიდენტს და ვფიქრობ, მართლაც რა ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ამ ქვეყანაში გაჩნდა და ცხოვრობს. გული მწყდება, რომ აღარ გვაქვს საშუალება, რუსეთის ნაციონალურ ტელეარხებს შევხედო და ვიცოდე, რომ რუსეთიც შენდება, ყვავის და მასზეც ზრუნავს კეთილი უფროსი. „პრეზიდენტმა ამხდინა თითქმის ყველა ოცნება“ – ამბობს ჯუგაშვილის ახალი საჯარო სკოლის მონაფე.

ბატონო პრეზიდენტო, „ის, რასაც ახლა ტელევიზორში ვუყურებთ, უკაცრავად და, ეს უბრალოდ... პოლემიკაც კი აღარ არის. ეს მხოლოდ ჰიმნები და მარშებია...“ – იური შევჩუკი. □



სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელშეკრება მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (899) 48 62 41 ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

თითქმის ნმინდანი



დავით ზურბიკიძე

იოანე პავლე მეორეს საჯარო წმინდანობამდე, მინიმუმ, ერთი სასწაულის დამტკიცება დარჩა.

2005 წლის 8 აპრილს, როცა იოანე პავლე მეორეს უკანასკნელ გზაზე დაახლოებით სამასი ათასი კაცი მიაცილებდა, ხშირად ისმოდა: Sancto subito! (ლათინურად, „უკვე წმინდანი“). პონტიფიკოსის სიკვდილიდან ექვსი წლის შემდეგ, ამჟამინდელმა პაპმა, ბენედიქტ მეოთხედმა საჯაროდ განაცხადა, რომ 2011 წლის მაისში მის წინამორბედს უნეტარესად გამოაცხადებს, რის შემდეგაც წმინდანობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩება.

სხვათა შორის, კათოლიკეთა კანონიზაციის ამჟამინდელი პროცედურა დამტკიცებულია 1983 წელს, სწორედ იოანე პავლე მეორეს მიერ, რომელიც მაშინ ენთუზიაზმით განაგრძობდა წინამორბედის, პავლე მეექვსის (1963-1978) რეფორმებს. ერთ-ერთი პუნქტი „წმინდანობის გამარტივებულ“ სქემასაც გულისხმობდა: პროცედურა ადამიანის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ შეიძლება, დაიწყოს. პირველი, „დაჩქარებული“ წესით, წმინდანი დედა ტერეზა გახდა, რომელიც 1997 წელს თავად იოანე პავლე მეორემ აკურთხა. ფორმალურად, წმინდანად კურთხევის პროცედურა ნებისმიერი ეპისკოპოსის თხოვნის შემდეგაც შეი-



რომის პაპი იოანე პავლე მეორე, ვატიკანი, 30 იანვარი, 2005

ძლება დაიწყოს, რაც ვატიკანმა აუცილებლად უნდა დაადასტუროს. იოანე პავლე მეორეს შემთხვევაში სათანადო განკარგულება თავად ბენედიქტ მეოთხედმა გასცა. ამასობაში სპეციალურმა ჯგუფმა დანვრილებით შეისწავლა კანდიდატის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი

ღვთისმოსაობა თუ ჭეშმარიტების გზაზე შედგომა. ვატიკანმა სპეციალური ედიქტიც გამოსცა, რომელიც მორწმუნეებს მოუწოდებს, გარდაცვლილი პონტიფიკოსის შესახებ ნებისმიერი სახის დოკუმენტი გამოაგზავნონ. ეს ეხება სხვადასხვა დროის ტექსტებს, წერილებს, ეპისტოლეებს,

ქადაგებებს. დოკუმენტები გადაეცემა ვატიკანის სპეციალურ კომისიას, რომელზე დაყრდნობითაც პაპი მას „წმინდანობის კანდიდატის“ სტატუსს ანიჭებს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია... წმინდანობამდე რომ ამაღლდეს, იოანე პავლე მეორე ან ნამებულად (ანუ

ქრისტესათვის სასიკვდილოდ თავგანწირულად) უნდა გამოაცხადონ, ან სასწაულმოქმედად. რადგან პირველი უკვე გამოირიცხულია, დარჩა მეორე გზა – პონტიფიკოსის სასწაულმოქმედება უნდა დაუმტკიცდეს. უკვე გამოჩნდნენ კათოლიკეები, რომლებიც შთაგონებულნი ყვებიან სასწაულებზე,

რომლებიც, მათი აზრით, იოანე პავლე მეორემ მოახდინა. მაგალითად, როგორ განკურნა ლოცვით თავის ტვინის კიბოთი დაავადებული ამერიკელი მამაკაცი; ან კიდევ უფრო გავრცელებული, მონაზონ მარი სიმონ-პიერის ისტორია, რომელიც პარკინსონით იყო დაავადებული და უკვე გარდაცვლილ იოანე პავლე მეორეს განკურნება შესთხოვა.

პარიზის სან-ფელისიტეს საავადმყოფომ დაადასტურა მონაზვნის განკურნება, თუმცა პრესაში ვრცელი დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, რომ მარი სიმონი 49 წლის ასაკში „პარკინსონის დაავადებისათვის ზედმეტად ახალგაზრდაა“ და რომ, სინამდვილეში სასწაულმოქმედება არც ყოფილა, მონაზონი უბრალოდ, დაავადების რეციდივისგან განიკურნა. ასეა თუ ისე, ვატიკანის კარდინალთა კომისიამ ეს ფაქტი 2011 წლის 13 იანვარს სასწაულმოქმედებად მიიჩნია.

1983 წლის რეფორმამდე წმინდანობის მტკიცებულებებს ოფიციალურად დანიშნული რელიგიური მსახური აგროვებდა, რომელსაც ვატიკანში Promotor fidei (ანუ „წმინდანი გამტკიცებელი“) ეწოდება. არაოფიციალურად კი „ემმაკის ადვოკატი“. საეკლესიო რეფორმებმა და გამარტივებულმა პროცედურამ იოანე პავლე მეორეს საშუალება მისცა, რომ 27-წლიანი მმართველობის განმავლობაში წმინდანად 1300-ზე მეტი ადამიანი ელიარებინა. ეს დაახლოებით იმდენია, რამდენიც ოთხასი წლის განმავლობაში ერთად აღებული.

მას შემდეგ, როცა პირველ მაისს პონტიფიკოს იოანე პავლე მეორეს საზეიმოდ გამოაცხადებენ „წმინდანის კანდიდატად“, კანონიზაციისაკენ გზა ხსნილი იქნება. თუმცა ამისათვის მას ჯერ კიდევ მოუწევს სასწაულის დამტკიცება. ერთი – მონაზონ მარი სიმონ-პიერის განკურნება ვატიკანის მიერ უკვე დადასტურებულია. თუ გარდაცვლილი პაპის უდიდეს პოპულარობას გავითვალისწინებთ, ალბათ, არც მეორე სასწაული დაყოვნებს.

ისევ ცოხუნბები



ლაშა ზულადე, მწერალი

საბჭოეთისგან ერთი შესანიშნავი უნარ-ჩვევა შემოგვრჩა: გინდა, რაიმე სიბრძნე იყოს, ან, გნებავთ, აზრი, ნებისმიერი რამის გალოზუნგებას შევძლებთ. ლოზუნგ-მოწოდებათა ქუჩებსა თუ დანესებულებებში გამოკიდება, როგორც იტყვიან, ძველთაგან მოგვადევს. მოსწრებულად ითქვა ოდესღაც, საბჭოთა კავშირი ლოზუნგების ქვეყანა იყო. ჭეშმარიტად ასე გახლდათ. თუმცა ეროვნული განსაბჭოების შე-

მდეგ, ლოზუნგებს „დიდება ლენინს“, „დიდება პარტიას“, „სსრკ – მშვიდობის ბურჯი“ სხვაგვარი, მე ვიტყვოდი, უფრო სენტიმენტალური მოწოდებები ჩაენაცვლა: „გახსოვდეს აფხაზეთი“, „აფხაზეთი ჩვენი ტყვილია“ და მრავალი ასეთი. თუმცა, მგონი, ამ მოწოდებებს ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა: რაც შეიძლება უცებ დაგვიწყებოდა მუდმივი შესხენების ობიექტი. ლოზუნგის თვისებაც ხომ

■ **ეროვნული განსაბჭოების შემდეგ, ლოზუნგებს „დიდება ლენინს“, „დიდება პარტიას“, „სსრკ – მშვიდობის ბურჯი“ სხვაგვარი, უფრო სენტიმენტალური მოწოდებები ჩაენაცვლა.**



ფოტო: შალვა მუსაელი

ესაა: მოწოდებად გამოტანილი აზრი ან თავიდანვე მკვდარია (როგორც საბჭოური აზრი), ან ეტაპობრივად კვდება. ჯერ კიდევ როდის იყო ცნობილი: თუკი ვინმეს ან რაიმეს მოსპობა გსურს, ლოზუნგად, პლაკატად და კერპად უნდა აქციო; ასე მოკლადია სოსომ თავისი დიდი მასწავლებელი – ვლადიმერ ლენინი, პოეტი ვლ. მაიაკოვსკი, მეპროზე მაქსიმ გორკი, თანამებრძოლი კიროვი და კიდევ ბევრი სხვა – სულ მათი სახელობის ქალაქ-პროსპექტებსა თუ ლოზუნგებად გამოტანილ მათსავე ციტატებში ჩამარხა.

მართალია, საბჭოთა კავშირი დაინგრა, მაგრამ ლოზუნგების ნაკლებობას დღესაც არ ვუჩივით. ჩანს, ვინც ახალი დროებისთვის შესაფერისი ლოზუნგების შექმნა-ჩამოკიდებითა დაკავებულნი, ფულსაც დინჯად შოულობს და სინდისიც სუფთა აქვს: ლოზუნგებად ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, რწმენა გამოაქვს. მიდინარ ქუჩაში და ხედავ, როგორ დაგყურებს ზევიდან პლაკატადქცეული რელიგიურობა: „უფალი მეფობს“, „იხარეთ ორსავე სოფელსა შინა“, „ზეცა შეერწყა მინას“ და „გინაროდენ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი“. ჰოდა, თუ გულმავინცი ხარ, შეიძლება, მათმა შემყურემ პირფარაც კი გამოისახო, ხოლო თუკი ოდნავ მაინც შეგრჩენია მესხიერება, აუცილებლად გაგახსენდება ოდესღაც ამ ადგილზე, ამ ქალაქში, ამ ქუჩაზე ჩამოკიდებული მკვდარი ლოზუნგები: „დიდება ლენინს“, „დიდება პარტიას“, „სსრკ – მშვიდობის ბურჯი“... ■

ედინ დეხო და ბოზენი



გიო ახვლედიანი

ლონდონში, რასაკვირველია, კარგი ლონდონური ზამთარია, მთელმა იმ არცთუ ნაჩვევმა თოვლებმა და ყინვებმა, დიხასაც რომ ჩაილულის წყალი დალიეს და გზა მისცეს აქაურ რბილ ამინდებს, რასაც მთლად გლობალურ დათბობას ვერ დავაბრალებთ, რადგან, ასეთ შემთხვევაში, დეკემბრის სიცვიც და თოვლის მთლიანად გლობალურ აციებაზე, მოსალოდნელ ახალ მსოფლიო გამყინვარებაზე და სხვა კიდევ უფრო საშინელ რამეებზე მინერა მოგვიწევს.

წვიმით კი წვიმს, და როგორც წესია, მალიმალ, მაგრამ ეგ ფეხბურთს არასოდეს უშლიდა ხელს ამ კუნძულზე. ჰოდა, იანვრის თვის მიუხედავად, ფეხბურთი სწორედ რომ გახურებულია.

თანაც, საზამთრო ყიდვა-გაყიდვის ფანჯარა გახსნილია და ყიდვა-გაყიდვა კი დღევანდელ ფეხბურთში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთ დროს სტამბულის ცოცხალთა ბაზარზე.


მოკლედ, ფეხბურთელები ბურთს დასდევენ, კლუბების მუშაკები კი აგენტებთან დიდ მოლაპარაკებებში არიან ჩართული და სხვა კლუბების მათნიორსავე მუშაკებთან. დიდი გაცვლა-გამოცვლის მზადებაა. ფასები ურახუნებს ასე, 40 მილიონ გირვანქას. ასე ვიანგარიშოთ: სამიდან 42 მილიონამდე თამაშობს. გააჩნია ფეხბურთელს, მოთხოვნილებას, და შეთანხმებას.

არიან ფეხბურთელები, რომლებიც უკვე იყიდეს.

ამათ შორისაა ბოსნიელ მარგალიტად წოდებული ედინ დეჟეკო, რომელიც, როგორც იქნა, გადმოიყვანეს პრემიერლიგაში. მყიდველი, ცხადია, „მანჩესტერ სიტია“, რომელიც კვლავაც არ იშურებს ფულს იმისთვის, რომ მოკლედ დროში იქცეს აქაური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად და

„ჩელსის“ აბრამოვიჩისეული ისტორია გაიმეოროს.

ედინ-მარგალიტის გერმანული „ვოლფსბურგიდან“ გადმოყვანა 32 მილიონი ევრო დაჯდა. თავის დროზე, „სიტიმ“ ამაზე მხოლოდ ნახევარი მილიონით მეტი გადაიხდა რობინიოს მოყვანაში, რაც წყლად წავიდა იმიტომ, რომ რობინიომ ეგრეც ვერ დაადო თავისი ნიშანი აქაურობას.



ედინ დეჟეკო

დეჟეკოს შესახებ ზაფხულიდან ლაპარაკობდნენ და ბევრი დიდი კლუბიც აცხადებდა, მის ყიდვას ვაპირებთო. ბოლოს საქმეს ისევ „სიტი“ შემორჩა – პატარა და მდიდარი.

იშკილებიდან დეკემბერში ჩამოვარდნილი „ჩელსი“ ახლა ცდილობს, 21 მილიონ გირვანქად „ბენფიკადან“ ბრაზილიელი დავიდ ლუისი გადმოიყვანოს და ცოტათი მოძლიერდეს, მაგრამ ყველაზე დიდი საიანგრო ძახილი კუნძულს გარედან მოდის: ჟოზე მარინიოს აუცილებლად სჭირდება „სიტის“ თილისმა, კაპიტანი და ლიდერი კარლოს ტვეესი, რომელმაც

ამ ერთი თვის წინ ბუნტიც კი გასწია, გინდათ თუ არა, გამყიდეთ, ცოლ-შვილი მენატრებაო. ბუნტი მშვიდობიანად დამთავრდა, ტვეესს კვლავ ენატრება ცოლ-შვილი, მაგრამ კვლავ „სიტის“ თამაშობს, თუმცა მაურინიო ლამის 50 მილიონ ევროს იძლევა სახენაირევი არგენტინელის სანაცვლოდ. ეს ძალიან დიდი ფასია, მაგრამ „სიტის“ ახლანდელ პატრონს, შეიხ მანსურ ბინ ზაიედ ბინ სულთან ალ ნაიანს ფული არ აინტერესებს, მას თავისი კლუბის ჩემპიონობა და მსოფლიო სახელის დაგდება უნდა, ამიტომ ეგებ პირიქითაც კი გადაუხადოს ფული მადრიდს, თავი დამანებეთო.

მოკლედ, ენახოთ.

პრემიერ-ლიგის ლიდერი კი მაინც სხვაა: „სიტი“ მხოლოდ მეორე მარადი მტრის, თანაქალაქელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემდეგ და თანაც ორი თამაშით მეტი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში „სიტი“ მეორე კი არა, ეგებ მეოთხეც იყოს ცხრილში.

მაგრამ ამაში ცუდი არაფერია: საუკუნეა „სიტი“ ცხრილის მეორე საფეხურზე არ ყოფილა. საუკუნეა, რომ ნახევარი მილიარდი კი არა, იმის მეათედიც არავის დაუხარჯავს ამ კლუბისთვის ფეხბურთელთა საყიდლად. ეჰ, ჩვენი ქინქის დროს მაინც ყოფილიყო „სიტის“ პატრონად ეს შეიხ მანსური.

კვირა საღამოს კი ლონდონის „ტიტ მოდერნი“ დაიხურა პოლ გოგენის ბრწყინვალე გამოფენა.

კარგი იქნებოდა, ეს გამოფენა თბილისში, მართლა ძალიან კარგი იქნებოდა. ლარიანი ბილეთით.

აქ ბილეთი 11-დან 13 გირვანქამდე ღირდა, ხუთჯერ იაფი ვიდრე „ჩელსის“ თამაშზე. ეგ 11 გირვანქა კი აქაურისთვის ჩვენებური ლარია.

მოკლედ, რა, ერთი გოგენი. ■

ღამუვიდობა ეინამოსთან



კაბა თოლორდავა

რამდენიმე წლის წინ, კუს ტბის მიდამოებში ერთ-ერთ ფერდობზე რომ ვიდექით და ნუცუბიძის პლატოს გადავცქეროდით, ჩემმა შვილმა ასეთი შეკითხვა დამისვა, – „მამა, რატომ ეძახიან თბილისს ლამაზ ქალაქს?“ ახლა იმაზე არაფერს ვიტყვი, თუ რა პასუხი გავეცი, მაგრამ ჩემი შვილის ეს შეკითხვა ამ რამდენიმე კვირის წინ კიდევ ერთხელ ამომიგდო მეხსიერებამ, მარიონეტების თეატრის მიდამოებში, კედელზე თუ ღობეზე გაკრულ ორი ქართველი არქიტექტორის მიერ 1996 წელს გაკეთებულ თბილისის უზარმაზარ რუკას რომ მივჩერებოდი. იცით ეს რუკა თქვენ, წარწერები რომ ფრანგულ ენაზე აქვს, ისაა. ჰოდა, პირველი, რასაც ამ რუკაზე თვალი მოგვკარი, აი, ეს წარწერა იყო, – COURTS DE TENNIS DINAMO. რაღაც ლამაზად ჟღერს, არა? ქართულადაც ასევე ლამაზად გხვდება ყურში, – დინამოს ტენისის კორტები. რუკაზე ამ წარწერამ უეცრად გამახსენა, რომ „დინამოს კორტები“ ისეთი სისწრაფით აღგავეს პირითგან მინისა, რომ საპროტესტო წერილმა ჩემამდე ვერც კი მოაღწია. ახლა უკვე გვიანაა იმის გარკვევა, რა და როგორ მოხდა და რატომ ვერ შევინარჩუნეთ, მაგრამ ამ ყველაფერმა სურვილი გამიჩინა, მის შეკითხვაზე კიდევ ერთხელ გამეცა დაგვიანებული და ლამის პარადოქსული პასუხი – თბილისს ლამაზ ქალაქს იმიტომ ეძახიან, რომ იქ ო დ ე ს ლ ა ც დინამოს კორტები ი ყ ო. ავხსნი ნათქვამს. რაც შეიძლება, მოკლედ და მარტივად.

ყველა, ვისაც ქალაქების ფსიქო-გეოგრაფიის რაღაც გავება, გეტყვით, რომ ნებისმიერი ქალაქის ხიბლს, სხვა ყველაფერთან ერთად, მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილში გაჩენილი და წლების განმავლობაში დაგროვებული პ ო ზ ი ტ ი უ რ ი ენერგეტიკული უბნები განაპირობებენ. ასეთი უბნები თავისთავად, გაჩენისთანავე კი არ ასხივებენ დადებით ენერგიას, არამედ ეს ენერგია ამ უბნების და ქალაქში მცხოვრები ადამიანების ინტენსიური შეხების, ერთმანეთთან მორგების შედეგად ჩნდება და ამ კავშირს ისეთივე ეფექტური გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქალაქის ზოგად განწყობაზე, როგორც, ვთქვათ, რომელიმე შენობას, ხიდს ან სხვა ასეთ რამეს. ზოგჯერ ასეთი პოზიტიური ენერგიით დამუხტული უბნები სრულიად ქალაქური მასშტაბისაა, (ამის კარგი მაგალითია ცენტრალური პარკი ნიუ-იორკში), ზოგჯერ კი უფრო ლოკალური, ვიწრო-უბნური, თუმცა მაინც ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი, რადგანაც ასეთი დადებითი ენერგეტიკული მუხტის მატარებელ უბნებთან ინტენსიური შეხება ხშირად



ყოფილი დინამოს კორტები

ადამიანების ქცევაზე ახდენს ხოლმე გავლენას. უხეშად რომ ვთქვათ, ასეთ უბნებთან ინტენსიური შეხების შედეგად შეიძლება, ვილაცამ ან დეპრესია შეიმსუბუქოს ან ვილაცისათვის ზიანის მიყენება გადაიფიქროს. ასეთი პოზიტიური ენერგიის უბნები ერთგვარ შრეებად ილექება ქალაქის სხეულში და ზოგადსივრცობრივ ენერგეტიკულ ისტორიას ქმნის.

აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი უბანი იყო დინამოს კორტები და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რეკრეაციული დანიშნულების მქონე სივრცე იყო. დინამო გარკვეული თვალსაზრისით თბილისის სახე იყო, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური უბანი, რომელსაც წესით კიდევ უნდა ჰქონოდა იმის პოტენცია, რათა შემდეგი თაობებისათვისაც „ეჩუქნა“ ის, რა საჩუქარიც მან წინა თაობებს გაუკეთა და ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ის ასე გულგრილად გაუშვეს ხელიდან და გულებიდან მათ, ვისაც მისი შენარჩუნება ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა თ. ამაზე საათობით შემიძლია ლაპარაკი... სხვათა შორის, ასეთი უბნების გაქრობა მარტო თბილისის პრობლემა არაა; ასეთი რამ მსოფლიოს სხვა მრავალ ქალაქშიც ხდება (დღეს ბრუკლინელები ბრუკლინის სახეცვლილებას მისტირებენ), მაგრამ მე ერთხელ უკვე ვთქვი ამ რუბრიკაში და კიდევ გავიმეორებ იმას, რომ თბილისი თბილისია და არა პარიზი ან ამსტერდამი, შესაბამისად აქაურებმა თავიანთი მიდგომა უნდა გამოიმუშავონ ქალაქისადმი, რაც დღეს ჯერჯერობით, დამეთანხმებით, ასე არაა. კარგად შეავლეთ თვალი თუნდაც ე.წ. „ზარია ვოსტოკას“ შენობის რეკონსტრუქციის პროექტებს და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ. ჯერჯერობით კი, – Adieu Dinamo! 🇯🇵



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი

FM 105.5

გორი, ქარელი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედი

FM 104.5

ურეკი, ქოგულეთი, გათუმი

FM 101.0

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

